საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში

მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა

თბილისი

2024 წელი

თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები:

ზაია კვიციანი - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, თემატური მოკვლევის ჯგუფის მთავარი მომხსენებელი

მარიამ ლაშხი - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი

ლადო კახაძე - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრი.

თემატური მოკვლევის ანგარიშზე მუშაობდნენ:

მანანა ომარაშვილი - მოწვეული ექსპერტი

გიორგი არზიანი - განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით და შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 11

თავი 1 - თემატური მოკვლევის შესახებ 12

მეთოდოლოგია 12

თავი 2 - საკითხის აქტუალობა 14

თავი 3 - ხელმისაწვდომი ფსიქოსოციალური სერვისები და სოციალურ-ემოციური განათლების დანერგვის პროცესი 16

თავი 4 - ლიტერატურის მიმოხილვა 23

თავი 5 - საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა 28

თავი 6 - საკითხის მიმოხილვა შემოსული მოსაზრებების საფუძველზე 38

სოციალური და ემოციური უნარების სწავლების საკითხები 38

არაფორმალური განათლების როლი 40

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პროცესში 42

მასწავლებელთა მზაობა და რესურსები 42

სკოლის ფსიქოლოგის როლი 44

სახელმძღვანელოების, სხვა რესურსებისა და სასკოლო გარემოს როლი სოციალური და ემოციური განათლების დანერგვაში 46

მშობელთა ჩართულობის როლი 47

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის როლი 49

თავი 7 - ძირითადი მიგნებები 50

თავი 8 - ჩართულ პირთა რეკომენდაციები 53

რეკომენდაციები 58

ლიტერატურა ..... **Error! Bookmark not defined.**

ტერმინთა განმარტება

ა) სკოლა - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/საჯარო ან კერძო სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც;

ბ) რესურსსკოლა - სენსორული ან/და მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) ან ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სკოლა, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

გ) სოციალური და ემოციური განათლების პოლიტიკა – მოიცავს პოლიტიკის განსაზღვრას (საკანონმდებლო ჩარჩო, სტანდარტები, მშობელთა ჩართვის წესები, წესდება და ა. შ.), პროცესს და მეთოდებს, რომლებიც განაპირობებს სოციალურ-ემოციური უნარების სწავლებას საგნმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) სოციალური და ემოციური სწავლა – ხშირად გამოიყენება, როგორც სოციალურ-ემოციური განათლების სინონიმი. ეს არის იმ ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეძენის პროცესი (იწყება დაბადებიდან და გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში), რომელიც ეხმარება ინდივიდს ჯანსაღი იდენტობის, ემოციური რეგულაციის, მიზნების მიღწევის, ემპათიის, კონსტრუქციული ურთიერთობებისა და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციების ჩამოყალიბებაში;

ე) სოციალური და ემოციური კომპეტენციები - ცოდნის, ღირებულებებისა და უნარების ერთიანობა, რომლის გამოყენებით ადამიანს შეუძლია ცხოვრების სოციალური და ემოციური ასპექტების გაგება, დამუშავება, მართვა და გამოხატვა;

ვ) სოციალური და ემოციური უნარები - კონკრეტული და სპეციფიკური უნარები, რომელიც წარმოადგენს სოციალური და ემოციური კომპეტენციების ნაწილს;

ზ) სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების კურიკულუმი - სასწავლო პროგრამა, მეთოდოლოგია, სახელმძღვანელო, კომპლექსური დავალებების ბანკი, აუდიო/ვიზუალური და ტექსტური რესურსები, სატრენინგო მოდული და სხვა;

თ) სკოლის ფსიქოსოციალური სერვისი - სკოლის ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკისა და ფსიქოსოციალური სფეროს წარმომადგენელი სხვა სპეციალისტების მომსახურება, რომელიც ხელმისაწვდომია სკოლის თითოეული მოსწავლისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლისთვის პროფესიული სტანდარტებით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების გათვალისწინებით;

ი) სკოლის ფსიქოლოგი - ფსიქოლოგი, რომელიც მოსწავლეს მომსახურებას უწევს სკოლაში, ხელს უწყობს მოსწავლეების სასწავლო პროცესში ეფექტურ ჩართულობასა და მასწავლებლების სწავლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, თანამშრომლობს მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის დირექციასა და სხვა პროფესიონალებთან;

კ) ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისში ჩართული ფსიქოლოგი - ფსიქოლოგი, რომელიც მომსახურებას უწევს სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს, სკოლის დირექციას;

ლ) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი - ფსიქოლოგი, რომელიც ფსიქოცოციალური მომსახურების ცენტრში ფსიქოსაკონსულტაციო ან/და ფსიქოთერაპიულ მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებს და მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს შესაბამისი მიმართვის საფუძველზე;

მ) სკოლის სოციალური მუშაკი - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკი, რომელიც მომსახურებას (პრევენცია, შეფასება, ჩარევა, გადამისამართება, მონიტორინგი) უწევს მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას სკოლაში;

ნ) სკოლის ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის პროფესიული ზედამხედველობა - ზედამხედველის მიერ სკოლის ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის საქმიანობის პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობის მხარდაჭერა, შესრულების ვადებისა და პროცედურების დაცვის ზედამხედველობა, პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ეთიკური და სადავო საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა, პროფესიული რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროფესიული გადაწვის პრევენციის მხარდაჭერა;

ო) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე (სსსმ) - მოსწავლე, რომელიც სასწავლო პროცესში დამატებით მხარდაჭერას საჭიროებს, აქვს სწავლასთან ან/და სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და ვერ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მინიმალურ დონეზე;

პ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ზოგადი განათლების სისტემის წინაშე დასახულ მიზნებს. კერძოდ, აქ აღწერილია, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემამ;

ჟ) ეროვნული სასწავლო გეგმა – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისთვის სასწავლო მიზნებსა და მისაღწევ შედეგებს, სწავლების შინაარსს, საგნების საათობრივ განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებს, სასწავლო პროცესის კონცეპტუალურ პრინციპებსა და ადმინისტრაციულ საკითხებს;

რ) სასკოლო სასწავლო გეგმა - სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განსაზღვრავს შუალედურ სასწავლო მიზნებს, ძირითად და დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს, საათობრივ დატვირთვას, შეფასების ინსტრუმენტებს, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას, ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებასა და სააღმზრდელო მომსახურებას, ტრანზიციის მხარდამჭერ აქტივობასა და სასკოლო საგანმანათლებლო აქტივობას;

ს) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია;

ტ) ინკლუზიური განათლება – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

უ) ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდი - ტერიტორიულობის პრინციპის გათვალისწინებით შექმნილი სპეციალისტთა გუნდი, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განსაზღვრის მიზნით აფასებს პირს და მისთვის განათლების საუკეთესო ფორმას არჩევს;

ფ) სპეციალიზებული კლასი – ერთი ასაკის ან არაუმეტეს 3-წლიანი ასაკობრივი სხვაობის, ჰომოგენური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კლასი;

ქ) ინტეგრირებული კლასი – ჰომოგენური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, სხვადასხვა კლასში ჩარიცხული, ერთი ასაკის ან არაუმეტეს 3-წლიანი ასაკობრივი სხვაობის მოსწავლეთა ერთობა;

ღ) ალტერნატიული სასწავლო გეგმა - ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმა, რომელიც განკუთვნილია მძიმე/ღრმა ინტელექტუალური ან/და მრავლობითი დარღვევის მქონე ან მრავლობითი სენსორული დარღვევის მქონე (ყრუ და უსინათლო) მოსწავლისათვის და ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილია;

ყ) ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები – სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ჟესტური ენის სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი;

შ) რესურს-ოთახი – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში არსებული ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ჩ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური – შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

ც) მცირეკონტინგენტიანი სკოლა – სკოლა, რომელშიც ადგილობრივი პირობების გამო სწავლობს მცირე რაოდენობის მოსწავლე;

ძ) მოსწავლეთა თვითმმართველობა - სტრუქტურული ერთეული, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს სასკოლო ცხოვრებაში, უფლება აქვს იმუშაოს სკოლის შინაგანაწესში შესატან ცვლილებებზე, ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, ქმნის სხვადასხვა ჯგუფს და კლუბს სკოლაში, ასევე შეუძლია მოპოვებული გრანტებისა და ფინანსების განკარგვაში მონაწილეობის მიღება.

მოვლენათა სინოფსისი

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია სკოლის ფსიქოსოციალური სერვისების განვითარებასთან და სოციალურ-ემოციური განათლების დანერგვასთან დაკავშირებული მოვლენების სინოფსისი.

1918 წელი

საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების ფუძემდებელმა, დიმიტრი უზნაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ფსიქოლოგიის კათედრა და ექსპერიმეტული ფსიქოლოგიის ლაბორატორია. მისივე ხელმძღვანელობით 1933 წლიდან ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი იწყებს ფსიქოლოგთა მომზადებას.

1936-1947 წლები

დიმიტრი უზნაძე იწყებს მუშაობას სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს შექმნაზე, რომელიც დაიბეჭდა 1947 წელს და საფუძველი ჩაუყარა განათლების ფსიქოლოგიის განვითარებას საქართველოში.

1943 წელი

დაფუძნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც ატარებს დიმიტრი უზნაძის სახელს.

1980-იანი წლები

თბილისის რამდენიმე სკოლაში იწყება სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის პილოტირება.

1988 წელი

ქვეყნის ყველა სასწავლო აღმზრდელობით დაწესებულებაში წესდება ფსიქოლოგის შტატი. ამ პერიოდიდან აქტიურად ვითარდება სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური, ფართოვდება ბავშვის ფსიქოლოგიის მოქმედების სფერო და მოიცავს სწავლებისა და აღზრდის სისტემას სკოლამდელი განათლებიდან (საბავშვო ბაღები, ბავშვთა სახლები) სკოლის, ლიცეუმის, გიმნაზიის, კოლეჯისა და მაშინდელი სკოლა-ინტერნატების ჩათვლით.

საქართველოს დაახლოებით 200 სკოლას ჰყავდა იმ დროისთვის სკოლის ფსიქოლოგი.

2007 წელი

სკოლაში დაინერგა საგანი „სამოქალაქო განათლება“.

2009 წლამდე

სკოლის ფსიქოლოგებს პროფესიულ ზედამხედველობას უწევენ არა მარტო „გამოყენებითი ფსიქოლოგიის ცენტრის“ ფსიქოლოგები, არამედ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტის პროფესორები. აქვე ყალიბდება სკოლის ფსიქოლოგთა გადამზადების 2 წლიანი პროგრამა (2000-2002 წწ.).

2010 წელი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით ყველა სკოლაში უქმდება სკოლის ფსიქოლოგის შტატი.

2012 წელი

ინკლუზიური განათლება ყველა საჯარო სკოლისთვის სავალდებულო ხდება. ინკლუზიური განათლების დანერგვა-განხორციელების პროცესში ერთვებიან ფსიქოლოგები, რომელთა

ვალდებულებაა სსსმ მოსაწავლეებისა და მათი მშობლების მოსახურება, პროცესში ჩართული სპეციალისტების კონსულტირება.

2013 წელი

თბილისში ყალიბდება მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი, სადაც მუშაობას იწყებს 12 ფსიქოლოგი და მომსახურებას უწევს კრიზისში მყოფი ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებს. ფსიქოლოგები მოსწავლეებს მომსახურებას უწევენ ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში.

2017 წელი

სკოლაში დაინერგა საგანი „მე და საზოგადოება“.

2021 წელი

- შემუშავდა სოციოემოციური კურიკულუმი;
- შემუშავდა მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების ორიენტირები და მექანიზმები;
- შემუშავდა სოციოემოციური უსაფრთხოების სტანდარტი.

2019-2023 წლები

2019 წელს მანდატურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში საქმდებიან სოციალური მუშაკები და იწყებენ მოსწავლეების მომსახურებას სკოლებში. საპილოტე რეჟიმში ერთვება თბილისის, რუსთავის, ქუთაისი, ზუგდიდისა და გორის 11 საჯარო სკოლა. 2023 წლის მონაცემებით კი, ცენტრში დასაქმებულია 62 სოციალური მუშაკი (32 თბილისში და 30 რეგიონებში, მათ შორის, 6 სოციალური მუშაობის რაიონული კოორდინატორი), რომელიც ემსახურება 63 სკოლას და მათ პროფესიულ ზედამხედველობას უწევთ 4 პროფესიული ზედამხედველი.

2023 წლის მონაცემებით, მანდატურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში დასაქმებულია 51 ფსიქოლოგი (28 თბილისში, ხოლო 23-რეგიონებში) და 2 პროფესიული ზედამხედველი.

შესავალი

21-ე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ინტერნეტ-ტექნოლოგიების განვითარება და ცხოვრების რიტმის აჩქარებაა. აღნიშნულმა ადამიანები არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა, მათი უმრავლესობა კი სოციალურ-ემოციურ მდგომარეობას უკავშირდება, კერძოდ, თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა და დღის წესრიგში დადგა ახალი მხარდამჭერი მექანიზმების გაჩენის აუცილებლობა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია ბავშვთა განვითარებისა და სოციოემოციური მხარდაჭერის კომპონენტი, რომელზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია COVID 19 პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა, სოციალური ურთიერთობების დეფიციტმა და სწავლის ფორმების ცვლილებამ. კერძოდ, შეზღუდვები შეეხო მსოფლიოში 1.6 მილიარდ ბავშვს, მოზარდსა და ახალგაზრდას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომიტეტმა 2021 წელს ჩაატარა თემატური მოკვლევა COVID 19 პანდემიის ზოგად განათლებაზე გავლენის შესწავლის მიზნით, სადაც გამოვლენილ საკითხებს შორის განსაკუთრებით საყურადღებო იყო მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური მხარდაჭერის კომპონენტი. შესაბამისად, 2023 წელს კომიტეტმა დაიწყო ზემოხსენებული საკითხის შესწავლა.

მოკვლევის ანგარიში მომზადდა ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო და დარგობრივი ორგანიზაციების ჩართულობით, მიღებული წერილობითი მოსაზრებების, გამართული ზეპირი მოსმენების, სამაგიდე კვლევისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე.

ზემოხსენებული პროცესის შედეგად გამოიკვეთა მიგნებები და განისაზღვრა რეკომენდაციები აღმასრულებელი ხელისუფლების მისამართით.

თემატური მოკვლევა განხორციელდა USAID-ის საჯარო მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით.

თავი 1 - თემატური მოკვლევის შესახებ

თემატური მოკვლევა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ინსტრუმენტია, რომლის დანიშნულებაა საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანი განხორციელება.

თემატური მოკვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფი შეისწავლის აქტუალური საკითხს, რომლის შედეგადაც მუშავდება ჩართულობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანგარიში.

მოკვლევის ანგარიშის მნიშვნელოვანი ნაწილია აღმასრულებელი ხელისუფლების მისამართით გაცემული რეკომენდაციები.

მოკვლევის მიზნად განისაზღვრა:

- მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერისა და ფსიქო-სოციალური სერვისების შესახებ არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- სოციალური და ემოციური კომპეტენციებისა და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების კავშირის შესახებ თემატურ მოკვლევაში ჩართულ პირთა მოსაზრებების შეჯერება;
- არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, მათი პრიორიტეტიზაცია და დაძლევის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

მეთოდოლოგია

კომიტეტმა მიმდინარე თემატური მოკვლევის **„მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა“** დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო 2023 წლის 26 ივნისს გამართულ სხდომაზე, სადაც დამტკიცდა მოკვლევის საკითხი და მოკვლევის ჯგუფის შემადგენლობა. შემუშავდა თემატური მოკვლევის ტექნიკური მოთხოვნის დოკუმენტი (დანართი N1), რომელიც განთავსდა საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცათ მის საფუძველზე წარმოედგინათ დასაბუთებული წერილობითი მოსაზრებები.

მოკვლევის პროცესში კომიტეტმა მიიღო 74 წერილობითი მოსაზრება, ავტორთა შორის იყვნენ საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საჯარო უწყებების, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

საკითხის შესწავლის მიზნით, განხორციელდა ვიზიტები საქართველოში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის, თბილისის რესურსსკოლებში. საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობისთვის, მოკვლევის ჯგუფი ეწვია დანიასა და შვედეთს, კერძოდ: დანიის ბავშვთა და განათლების სამინისტროს, კოპენჰაგენის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ადმინისტრაციას, დანიის პარლამენტის ბავშვთა და განათლების კომიტეტს, ასევე შვედეთის პარლამენტის განათლების კომიტეტს, შვედეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროსა და შვედეთის განათლების სააგენტოს. ამასთანავე, ზემოხსენებულ ქვეყნებში არსებულ რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. შეხვედრების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერის საკითხს.

მოკვლევის ფარგლებში, წერილობითი მოსაზრებების ავტორთა და დარგის სპეციალისტთა (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, განათლების სფეროს სპეციალისტები, სკოლის დირექტორები, სოციალური და ემოციური უნარების სწავლების სახელმძღვანელოების ავტორები) მონაწილეობით გაიმართა ზეპირი მოსმენა, ხოლო სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით ინდივიდუალური ინტერვიუები ჩატარდა საქართველოს ინკლუზიური განათლების, სკოლის ფსიქოლოგიის, სკოლის სოციალური სამუშაოს და ევროკავშირის ქვეყნების სკოლის ფსიქოლოგიის ექსპერტებთან (Doris Schechtner - სკოლის ფსიქოლოგი, ავსტრია, Astra Schults - ესტონეთის სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაცია, Baiba Martinsone - ლატვიის სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაცია, ნათია ბერიძე - სოციალური პედაგოგი, გერმანია, Paul A. Bartolo - მალტის სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაცია).

გარდა ამისა, საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით, სამაგიდე კვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა თანამედროვე კვლევები და საკითხთან მიმართებით არსებული აქტუალური ლიტერატურა.

საბოლოოდ, თემატური მოკვლევა ფოკუსირდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა **სკოლის ფსიქოსოციალური სერვისები, სოციალურ-ემოციური განათლების გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე, არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა,** ასევე მიღწევები და გამოწვევები.

თავი 2 - საკითხის აქტუალობა

სკოლას განსაკუთრებული როლი აკისრია ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის თვალსაზრისით. რიგ შემთხვევებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება წარმოადგენს პირველი რიგის რგოლს, რომელიც ზრუნავს ისეთი სირთულეების წინაშე მყოფ მოსწავლეზე, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, სოციალური უთანასწორობა, ბულინგი, მშობლების ემიგრაცია და ა.შ. გარდა ზემოხსენებული გარემოებებისა, სკოლის მხარდაჭერას საჭიროებენ განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეებიც, როგორც მათი შესაძლებლობების იდენტიფიცირების, ასევე შესაბამისი განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების უზრუნველყოფის კუთხით.

დღეს საქართველოში არაერთი მოსწავლე იმყოფება ფსიქიკური ჯანმრთელობისა თუ სოციალური სირთულეების წინაშე, რაც უარყოფითად აისახება სწავლის პროცესსა და აკადემიურ მიღწევებზე, თუმცა მეორე მხრივ, თავად სწავლის პროცესი და სასკოლო გარემო, იქ არსებული ფსიქოსოციალური სერვისები და მთლიანად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა ახდენს გარკვეულ გავლენას აღნიშნულ მდგომარეობაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ერთ-ერთი ფუნქცია, აკადემიური შედეგების გაუმჯობესებასთან ერთად, ზემოთ ხსენებული პრობლემების პრევენცია და სკოლის თითოეული მოსწავლის მხარდაჭერაა. ასევე, სტრატეგიების საფუძველზე პრობლემის ადრეული იდენტიფიცირება და პროგრესის შეფასება, რასაც ახორციელებს მასწავლებელი საკლასო ოთახის დონეზე ყველა მოსწავლესთან, სკოლის ადმინისტრაციის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და მოსწავლეთა მშობლების/მეურვეების მხარდაჭერით.

ფსიქოსოციალური და აკადემიური სირთულეების პრევენციის პროცესში (პირველი დონე) სკოლის ყველა მოსწავლე უნდა იყოს ჩართული, რათა სკოლამ შეძლოს მხარდაჭერის საჭიროების მქონე მოსწავლის გამოვლენა, რომელიც დაახლოებით მოსწავლეთა 15%-ს შეადგენს (Cicek, 2012). მათ რთავენ ინტერვენციის სხვადასხვა პროგრამებში, მათ შორის „პოზიტიური კომუნიკაციის უნარების განვითარება“, „გაჯეტებზე/ონლაინ თამაშებზე დამოკიდებულების ჯგუფური პროგრამა“, „სოციალური შფოთვის დაძლევის“, „ემოციური ინტელექტის განმავითარებელი აქტივობები“ და სხვა. ამასთანავე, ხდება მათი ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების ინდივიდუალური შეფასება, ასევე ინდივიდუალური სტრატეგიების მორგება (მეორე დონე). ხოლო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სპეციალიზირებულ მიდგომასა და სპეციფიკურ ინტერვენციას მოსწავლეთა დაახლოებით 2-5% საჭიროებს (Sansosti et al., 2010).

აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გაზიარებული სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც დღეს საჯარო სკოლების მოსწავლეთა 2%-ს შეადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა საერთო რაოდენობა, რომელიც წლიდან წლამდე იზრდება.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ჰქონდეს ჩამოყალიბებული ხედვა, თუ რას აკეთებს პრევენციის მიზნით და როგორ გეგმავს პრევენციულ პროგრამებს სკოლის ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მხარდაჭერით, რას აკეთებს ინდივიდუალური მიდგომის საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში და როგორ ანაწილებს სკოლის ფსიქოსოციალური სამსახურის რესურსს ასეთ შემთხვევაში. უმნიშვნელოვანესია, რომ ნებისმიერი საქმიანობა სკოლის კედლებში, განვიხილოთ როგორც გუნდის საქმიანობა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ერთი საერთო მიზნის მისაღწევად.

აღნიშნული გამოწვევები არ არის უცხო თანამედროვე მსოფლიოსთვის და მათ შორის, არც განვითარებული ქვეყნებისთვის. სწორედ ამიტომ უდიდესი ყურადღება ეთმობა სკოლებში ფსიქოსოციალური სერვისების განვითარებას და სოციალური და ემოციური განათლების დანერგვას არამხოლოდ სპეციალური საჭიროებების მქონე პირების, არამედ ტიპური განვითარების მოსწავლეებისთვისაც, რადგან სკოლის მოსწავლეთა ფსიქიკური ჯანმრთელობა და შესაბამისად, მაღალი ხარისხის ფსიქოსოციალური სერვისები ქვეყნის ჯანსაღი მომავლის წინაპირობაა.

განათლების სისტემაში პოლიტიკის განმსაზღვრელები და პრაქტიკის დამნერგავი სუბიექტები სულ უფრო მეტად ერთიანდებიან იმ იდეის გარშემო, რომ სოციალური და ემოციური განათლების დანერგვა ხელს უწყობს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, განათლებული, სოციალური უნარებით აღჭურვილი, გაწონასწორებული, საკუთარი და სხვისი ემოციების გაგების, თანაგანცდის უნარის, ჯანსაღი ღირებულებების მქონე პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდას, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და პატივს სცემს განსხვავებულ კულტურას.

საუკეთესო სკოლები ხელს უწყობენ მოსაწავლეთა აკადემიური, სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას სოციალურ-ემოციური განათლების დანერგვით, ფსიქოსოციალური სერვისების განვითარებით, არაფორმალური განათლების ხელშეწყობით, სკოლის კლიმატისა და კულტურის განვითარებით.

თავი 3 - ხელმისაწვდომი ფსიქოსოციალური სერვისები და სოციალურ-ემოციური განათლების დანერგვის პროცესი

დღეს, საქართველოში **სკოლის ფსიქოსოციალურ სერვისში,** ძირითადად, მოიაზრება სკოლის ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მომსახურება. ამჟამად, საჯარო სკოლებში დასაქმებულნი არიან ფსიქოლოგები ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისის ფარგლებში, რომლებსაც ევალებათ მხოლოდ სსსმ მოსწავლეების მომსახურება შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 10 სამუშაო საათის ფარგლებში, ხოლო კერძო სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგები ემსახურებიან ყველა მოსწავლეს. დღეს საქართველოში, სულ 309 სკოლაშია დასაქმებული ფსიქოლოგი, ხოლო მათი რაოდენობა შეადგენს 362-ს.

საჯარო სკოლებში დასაქმებული ფსიქოლოგების ვალდებულებებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კოგნიტური, აკადემიური, სოციალური და

ფუნქციური უნარების შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლისა და სხვა სპეციალისტების კონსულტირება სსსმ მოსწავლეთა სწავლების სტრატეგიებისა და ქცევის მართვის შესახებ[1].

ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს ემსახურებიან მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები (სულ: 52), რომელთა ვალდებულებებია მოსწავლეებისთვის ფსიქოკონსულტირებისა და ფსიქოთერაპიის, ხოლო მათი მშობლებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის მოსწავლესთან დაკავშირებულ საკითხებზე ფსიქოკონსულტირების უზრუნველყოფა. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ემსახურება ცენტრში, სკოლაში ვიზიტი კი ხორციელდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. [2]

მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პარლამენტის განათლების კომიტეტისთვის გაზიარებული წერილობითი ინფორმაციის მიხედვით, სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ 63 საჯარო სკოლაში სსიპ მანდატურის სამსახურის მიერ მიმდინარეობს ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით როგორიცაა: მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობა, ბულინგის პრევენცია, სარისკო ქცევების პრევენცია, მშობელთადა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა და სხვა. ეს შესაძლებელს ხდის სკოლაში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ჩართულობითი (ინკლუზიური) გარემოს ჩამოყალიბებით, გაუმჯობესდეს მოსწავლის სწავლის ხარისხი. სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში მუშაობა ხორციელდება 2023 წლის მიმდინარე სემეტრში, ყოველსემესტრული გეგმების შესაბამისად, მოსწავლეთა საჭიროებების ამოცნობა და მასზე ჯეროვნად რეაგირება მოიცავს სკოლის პერსონალის კონუსლტირებას და მუშაობას შემდეგი ქვემიმართულებებით შესაბამისი მოდულებით, ტექნიკებითა და შემდეგი პროგრამებით:

---

[1] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №16/ნ, 2018

[2] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში დასაქმებული ფსიქოლოგების პროფესიული სტანდარტი, დეკემბერი, 2023

- დესტრუქციული და ძალადობრივი ქცევის ამოცნობა და პრევენცია;
- მოწყვლადობის რისკის წინაშე მყოფი მოსწავლეების იდენტიფიკაცია/მონაცემების დამუშავება;
- კრიზისული ინტერვენცია ცხოვრებისეულ კონტექტსში (LSCI) მიდგომის ფარგლებში გადმომისამართების დანერგვა მასწავლებლებთან;
- კომუნიკაცია (უნარ-ჩვევების განვითარება), ბრაზის მართვა, გაჯეტდამოკიდებულება, პროფორიენტაცია, ქცევის მართვის სტრატეგიები;
- ბავშვის უფლებები და დისკრიმინაცია, ადრეული ქორწინება;
- თვითმმართველობის გაძლიერება;
- პროაქტიული და აღდგენითი წრეები;
- სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის პროტოკოლის აღსრულების მხარდაჭერა/პროტოკოლის გაცნობა მასწავლებლებისთვის;
- განახლებული მომსახურებების რუკის გაცნობა/მომსახურებებთან ხელმისაწვდომობის გაზრდა/უკუკავშირი;
- აღზრდა და აღზრდის სტილები;
- საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრები ბულინგის პრევენციის მიზნით;
- დისციპლინირების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის ხელშეწყობა/მუშაობა დისციპლინირების არსებული მექანიზმის დახვეწის პროცესში მხარდაჭერა აღდგენითი მიდგომის დანერგვა;
- კრიზისული სიტუაციების პრევენცია, მათზე რეაგირება და მართვაში მხარდაჭერა.

როგორც სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ირკვევა, სოციალური მუშაკები სკოლაში ახორციელებენ სარისკო ქცევის პრევენციაზე მიმართულ 2 პროგრამას: ა) 13 წლამდე მოსწავლეებისათვის - „ცოცხალი შესრულებით, ანუ ფონოგრამის გარეშე" (14 სკოლაში) და ბ) 13 წლის და უფროსი მოზარდებისთვის - „სარისკო ქცევების პრევენცია" (91 სკოლაში).

მოსწავლეთა მშობლებთან მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი პროგრამებით:

- სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მშობლების ჩართულობის ხელშეწყობის სტრატეგიაზე/პროტოკოლზე მუშაობა და მშობლების მონაწილეობის გაზრდის მხარდაჭერა;
- მშობელთა გაერთიანებების /კლუბების / სივრცეების დაარსება და პროცესის მხარდაჭერა;
- სსსმ და შშმ მოსწავლეთა მშობლებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებები;
- საინფორმაციო შეხვედრების განხორციელება მშობლებისთვის / მათ შორის ფსიქოლოგის / ფსიქიატრის ჩართულობით.

სკოლებში სოციალური მუშაობის დანერგვის, ეფექტიანი თანამშრომლობის, განხორციელებული ღონისძიებების შეჯამებისა და სამომავლო აქტივობების წარმატებით განხორციელების მიზნით, იმართება ინტენსიური შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორებთან, მათ მიერ მოწვეულ სუბიექტებთან და რესურსცენტრების

ხელმძღვანელებთან, რომელთა სტრუქტურულ ერთეულშიც შედიან ის კონკრეტული სკოლები, სადაც მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები არიან წარმოდგენილები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

- ✓ „მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა“ მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს გამჭოლი კომპეტენციების სახით სოციოემოციური უნარების განვითარებაზე, კერძოდ, ახალი რედაქციით ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლის შედეგები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) საგნობრივი ცოდნა, ბ) ფუნქციურ-კომპონენტური უნარები და გ) აღმზრდელობით-ღირებულებითი ასპექტი/ასპექტები. ორიენტაცია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე ფარავს სოციალურ-ემოციურ კომპეტენციებს და სოციალურ-ემციური სწავლის კონცეფციას;
- ✓ სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შეიმუშავა ზოგადი განათლების საფეხურზე სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების კურიკულუმი (სასწავლო პროგრამა, მეთოდოლოგია, სახელმძღვანელო, კომპლექსური დავალებების ბანკი, აუდიო/ვიზუალური და ტექსტური რესურსები, სატრენინგო მოდული). ასევე

განხორციელდა მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური უნარებისა და კეთილდღეობის კვლევა, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, მოეგროვებინა მონაცემები არსებული სიტუაციის აღწერის მიზნით და მეორე მხრივ, შემუშავებულიყო ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებელია სისტემურად ჩაშენდეს სკოლის ან ცენტრალიზებული თვითშეფასების ელექტრონულ პლატფორმაზე, როგორც სკოლის დონეზე უნივერსალური პრევენციული მექანიზმი. აღნიშნული დაეხმარება სკოლას გამოავლინოს გამოწვევები და მიზნობრივად დაარეგულიროს ისინი;

- ✓ ინსტრუმენტის, კურიკულუმისა და სატრენინგო მოდულების პილოტირება განხორციელდა 4 რეგიონში: თბილისი, იმერეთი, კახეთი და ქვემო ქართლი. კვლევასა და პილოტირების პროცესში ჩართული იყოს საშუალო საფეხურის 483 მოსწავლე. აკადემიური კეთილდღეობის კვლევაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მასშტაბით 78 საჯარო სკოლის IX და XI კლასის მოსწავლეებმა (1420). კვლევების შედეგად გამოიყო მოსწავლის კეთილდღეობის განცდის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები;
- ✓ 2022 წელს „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების გადამუშავებისას“ და 2023 წელს დამტკიცებულ რევიზირებულ სტანდარტებში განმარტებულია სოციალურ-ემოციური განვითარება. გარდა ამისა, სტანდარტები ახალი ინდიკატორებით შეივსო. კერძოდ, ემოციური უსაფრთხოების სტანდარტში (მიმართულება კეთილდღეობა) დაემატა ორი ინდიკატორი ბავშვების ბაღში უსაფრთხო ტრანზიციასთან დაკავშირებით. აქედან, ერთი ეხება იმ ბავშვებს, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული.

ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით შეიქმნა **სოციალურ-ემოციური უნარების განმავითარებელი სხვადასხვა პროგრამები,** რომელთა პრაქტიკაში გამოცდა უკვე შეძლო რამდენიმე ათეულმა სკოლამ და მასწავლებლებმა:

- კონსულტაციის და ტრენინგების ცენტრის, სკოლა-ლაბის პროგრამა „სკოლების გაძლიერების ინიციატივის ფარგლებში“, გერმანული ფონდის Bread for the World-ის (BfdW) ფინანსური თანადგომით, ახორციელებს ინიციატივას “სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების მხარდაჭერა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში”. შემუშავდა საბაზო საფეხურზე

მოსწავლეების სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების პრაქტიკული სახელმძღვანელო (CTC, 2022) და ონლაინ კურსი მასწავლებლებისთვის. სახელმძღვანელო და კურსი ხელმისაწვდომია სკოლა - ლაბის ვებ-გვერდზე: www.ctcskolalab.ge.

- ორგანიზაცია ილიასმა ევროპის ფონდის მხარდაჭერით მოამზადა სოციალური და ემოციური უნარების სახელმძღვანელოები:
  - ,,სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება,'' სახელმძღვანელო სკოლის მასწავლებლებისთვის (მუმლაძე, საამიშვილი, 2021);
  - ,,სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება,'' სახელმძღვანელო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, მოსწავლის წიგნი (მუმლაძე, ნაკაიძე, 2022);
  - „სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება", სახელმძღვანელო საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის, მასწავლებლის წიგნი (მუმლაძე, ნაკაიძე, 2021);
  - სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების სახელმძღვანელო სამივე საფეხურის სკოლის მოსწავლეებისათვის.
- „სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება" საპილოტე რეჟიმში არჩევითი საგნის სახით ისწავლება თბილისის 8 საჯარო სკოლაში: თბილისის 21-ე, 29-ე, მე-5, 140-ე, 94-ე, 108-ე და 202-ე საჯარო სკოლაში (რესურსსკოლა). ასევე, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით ისწავლება თბილისის 198-ე საჯარო სკოლაში, რომელიც წარმოადგენს სპეციალიზებულ რესურსსკოლას მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების დარღვევისა და ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის.„შავი და ბალტიის ზღვის ალიანსი - საქართველო" და მოძრაობა „ღია" ჩეხეთის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით, 2021 წლიდან ახორციელებს სოციალური და ემოციური უნარების სწავლების საპილოტე პროგრამას საქართველოს 20 სკოლაში მე-7 და მე-8 კლასელებისთვის. ის მოიცავს მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამას, მასწავლებელთა სახელმძღვანელოს, მოსწავლეთა დღიურს, მოსწავლეებისათვის სახალისო ინფოგრაფიკებს (თინა ცომაია, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი);

- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია World Vision საქართველოს პროექტის, “გამოცდილებით სწავლა - რეგიონული განათლება”, ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელო ტრენერებისათვის: „სასიცოცხლო უნარების განვითარება მოზარდებში“ (ხუნძაყიშვილი, ფანჯიკიძე, 2015). აღნიშნულ პროგრამა ინტეგრირებულია „ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამაში“, რომელსაც ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ყველა დღის ცენტრსა და კრიზისულ თავშესაფარში. გარდა აღნიშნული პროგრამებისა, სკოლებში ხორციელდება მრავალი პროექტი, რომელიც ხელს უწყობს სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას: ,,სკოლები, როგორც სოციალური მოდელი-გაუმჯობესებული წვდომა ყველა სკოლის მოსწავლისა და ახალგაზრდისთვის ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე“ (საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი);
- „სამოქალაქო განათლების პროგრამა საქართველოში“ (PH International, USAID)-ის მიერ განხორციელდა პროგრამა „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობა“- სასკოლო კონკურსებისა და სასკოლო პროეტების განხორციელება სხვადასხვა მიმართულებით, სოციალური ინკლუზია - განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის სასკოლო კლუბების ორგანიზება, ,,სასკოლო ინიციატივების წახალისების პროგრამა“, „სამეწარმეო განათლება, კარიერული დაგეგმვა და პროფესიული ორიენტაცია“.

სხვა მხარდამჭერ ინსტრუმენტებთან ერთად, მოსწავლეთა სოციოემოციურ განათლებასა და სოციოემოციურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს სასწავლო რესურსები, მათ შორის კი განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სასკოლო სახელმძღვანელოებზე. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით (ბრძანება N1409417) დამტკიცებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს რეცენზირების შინაარსობრივი კრიტერიუმები. აღნიშნულის მეშვეობით გათვალისწინებულია ის მოთხოვნები, რითაც ხორციელდება სასკოლო სახელმძღვანელოების შეფასება (გრიფირება) მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებთან შესაბამისობის, თანასწორობის დაცვის, დისკრიმინაციის და დისკრედიტაციული ელემენტების აკრძალვის, ძალადობისაკენ მოწოდების ან შუღლის გაღვივების აკრძალვის კუთხით, ასევე, საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისად, მათ შორის, ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში. ასევე

საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექსტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილების და სხვა ნიშნით.

სამინისტროს მიერ პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისთვის გაზიარებული წერილობითი ინფორმაციის თანახმად, სახელმძღვანელოების ავტორები გადიან მომზადებას და უზრუნველყოფილნი არიან ყოველკვირეული კონსულტირებით სახელმძღვანელოს წერის პროცესში.

სახელმძღვანელოების მომზადების პროცესი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და სახელმძღვანელოების შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო ორივე ზემოხსენებული დოკუმენტი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს გამჭოლი სახით სოციოემოციური კომპეტენციების განვითარებაზე.

სერვისებთან და რესურსებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სკოლების ინფრასტრუქტურას, სამინისტროს მიერ გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობების მშენებლობის სტანდარტების დამტკიცება და ამავე მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა და რეაბილიტაციაც. პროექტები ითვალისწინებს რეკრეაციულ და მულტიფუნქციურ სივრცეებს.

თავი 4 - ლიტერატურის მიმოხილვა

თემატური მოკვლევის მოცემული ნაწილის მიზანია სოციალური და ემოციური განათლების დანერგვასთან დაკავშირებული კვლევების მიმოხილვა, იმ მტკიცებულებების გაანალიზება, რომელიც მსოფლიოში დაგროვდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უმთავრესი ამოცანებია აკადემიური განათლების მიცემა, სწავლის მოტივაციის განვითარებისა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის მიმართ ერთგულების ჩამოყალიბება, მოსწავლეთა ინტერპერსონალური კომპეტენციების

განვითარება, ისე რომ ისინი მზად შეხვდნენ დამოუკიდებელ ცხოვრებას სკოლის დასრულების შემდგომ.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა, საკუთარი სურვილებისა და ემოციების გამოხატვა, თუმცა იმ ზღვრის აღქმაც, რომელიც არ უნდა გადაკვეთოს, რომ არ დაარღვიოს სხვა ადამიანის უფლებები. სკოლამ უნდა აღზარდოს ადამიანი, რომელიც ავლენს პასუხისმგებლობას და იცავს ეთიკის პრინციპებს თანატოლების, ოჯახის, სკოლის, საზოგადოების წინაშე (Weissberg & Cascarino, 2013).

სამი ათწლეულია, რაც სამეცნიერო კვლევები გვიჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის სოციალურ-ემოციური სწავლის შედეგია:

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება;
- სოციალური და ემოციური უნარების განვითარება, ჯანსაღი თვითშეფასება, სკოლასთან მიკუთვნებულობის განცდა;
- ქცევის სირთულეების, კერძოდ, აგრესიის, ბულინგის, დელინკვენტური ქცევის მნიშვნელოვანად შემცირება;
- დეპრესიის, შფოთვის, სტრესის, სოციალური გარიყვის სიმპტომების შემცირება.

სოციალურ-ემოციური უნარების განმავითარებელი პროგრამების შედეგების პირველი მეტაანალიზი გამოქვეყნდა 2011 წელს, როცა დურლაკმა და კოლეგებმა შეისწავლეს 2008 წლამდე გამოქვეყნებული კვლევები, რომელიც მოიცავდა 213 პროგრამასა და 270 000 მოსწავლის (I-დან XII კლასის ჩათვლით) მონაცემებს. მეტაანალიზი გვიჩვენებს, რომ საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, პროგრამებში მონაწილე მოსწავლეებს 11%-ით გაუუმჯობესდათ აკადემიური მოსწრება (Durlak at al., 2011). 85 კვლევის მეტა-ანალიზმა გამოკვეთა სოციალურ-ემოციური პროგრამების დანერგვის და განხორციელების ხარისხის გავლენა შედეგებზე. ინტერვენცია თუ ხორციელდება იმ ქვეყანაში, სადაც პროგრამა შეიქმნა, შედეგები გაცილებით უკეთესია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სხვა ქვეყნებში პროგრამების იმპლემენტაციისას, მნიშვნელოვანია მისი მორგება ახალ კონტექსტთან, ქვეყნის კუტურასა და ტრადიციებთან (Wiglesworth et al., 2016).

2008-დან 2015 წლამდე გამოქვეყნებული 37 კვლევის მეტაანალიზი გვიჩვენებს, რომ გაცილებით ძლიერია სოციალურ-ემოციური უნარების განმავითარებელი პროგრამების

ეფექტი სკოლამდელი ასაკის და დაწყებითი კლასების მოსწავლეების შემთხვევაში, ვიდრე მოზრდილ ასაკში (Boncu at al., 2017).

მასწავლებლებისა და ზოგადად, სკოლის პერსონალის გადამზადების კარგი პროგრამა და ადმინისტრაციული მხარდაჭერა აუცილებელია სოციალური და ემოციური განათლების ეფექტიანი დანერგვისთვის და სისტემური ცვლილებებისთვის. სამწუხაროდ, ხშირია სკოლების მიერ სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების პროგრამების მიღება მასწავლებელთა გადამზადების, მუდმივი მონიტორინგისა და მენტორინგის, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის გარეშე. ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლების მიერ საკუთარი სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება, როგორც ტრენინგების, ასევე თვითგანვითარების საშუალებით. კვლევათა შედეგების ოთხი მეტაანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში უმჯობესდება მასწავლებელთა კეთილდღეობისა და სწავლების ხარისხი, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლის შედეგებზე (Greenberg, 2023).

ჯერ კიდევ COVID 19-ის პანდემიამდე, საკმაოდ მაღალი იყო მოზარდებსა და ახალგაზრდებში დეპრესიის მაჩვენებელი, რაც პანდემიამ კიდევ უფრო საგანგაშო გახადა, ზიანი მიაყენა ბავშვების სოციალურ და ემოციურ კეთილდღეობას, გამოიწვია ბავშვებში ემოციური და ქცევითი სირთულეები, ფიზიკური და ვერბალური აგრესიის სიმპტომები, როგორც სკოლამდელ (Glynn et al., 2021), ასევე სასკოლო ასაკის ბავშვებში და მათ მშობლებში (Cellini et al., 2021).

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თემატური მოკლვლევის „COVID 19 პანდემიის გავლენა ზოგად განათლებაზე“ ანგარიშში (2021) აღნიშნულია, რომ განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს მოსწავლეების სოციალურ-ემოციური მდგომარეობა, რომელიც საქართველოს სკოლის დირექტორების ნაწილის შეფასებით, გამოიხატება ინდიფერენტულობაში, თვითიზოლაციასა და გარიყულობაში.

როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს კონტექსტში განხორციელებული შეფასებები ცხადყოფს, რომ ახალი კორონავირუსის პანდემია უარყოფითად აისახა მოსწავლეთა სასწავლო დანაკარგებზე. გარდა იმისა, რომ მოსწავლეების საგნობრივი ცოდნა და აკადემიური მიღწევები გაუარესდა, ასევე პანდემიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა

მოსწავლეთა სოციალურ უნარებსა და ემოციურ კომპეტენციებს (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, 2022). ამასთანავე, ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვუჭერთ მხარს მომავალი თაობის ფსიქიკურ ჯანმრთელობას (U.S. Department of Health & Human Services, 2021).

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ დადებითი კორელაცია გამოვლინდა სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების პროგრამების დანერგვასა და ისეთ ცვლადებს შორის, როგორიცაა შფოთვა, დეპრესია, სუიციდის რისკი და ანტისოციალური ქცევა (Cefai et al., 2018), რადგან აღნიშნული პროგრამები ქმნიან ფსიქიკური ჯანმრთელობის დამცავ ფაქტორებს, ახალი კომპეტენციებისა და ძლიერი მხარეების განვითარების გზით. მოსწავლეები სწავლობენ აზრების, ემოციებისა და ქცევების ინტეგრირებას ყოველდღიურ პიროვნულ და სოციალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად (Jones & Bouffard, 2012).

სოციალური და ემოციური განათლება დადებით გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და სოციალური უნარების განვითარებაზე ადრეული ბავშვობიდან ზრდასრულობამდე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება ბავშვი და რა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა თუ კულტურული თავისებურებების მატარებელია ის. აღნიშნულ დადებით გავლენას ადასტურებს საწყისი ინტერვენციებიდან 6 თვიდან სამ წლამდე პერიოდში ჩატარებული კვლევები, ხოლო ლონგიტუდური კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ ზრდასრულობაში ვლინდება აღნიშნული პროგრამების დადებითი გავლენა ისეთ ცვლადებზე, როგორიცაა სკოლის შემდგომი განათლება, დასაქმება, ფსიქიკური ჯანმრთელობა, კანონთან კონფლიქტისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების დაბალი მაჩვენებელი (Cefai et al., 2018).

ევროკომისიის დაკვეთით ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნივერსიტეტების პროფესორების (განათლების/სკოლის ფსიქოლოგები) მიერ ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე, 2018 წელს ევროპის კავშირის ქვეყნებისთვის შემუშავდა სოციალური და ემოციური განათლების ინტეგრაციის ჩარჩო, რომელიც მოიცავს 8 ძირითად კომპონენტს:

1) **სასწავლო გეგმა:** მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციები შეიძლება განვითარდეს თუ სასწავლო გეგმაში მიზნები კარგად არის განსაზღვრული და საკმარისი დრო ეთმობა.

2) **კლიმატი:** სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სოციალურ და ემოციურ განათლებას თან უნდა ახლდეს პოზიტიური საკლასო და სკოლის კლიმატი.
3) **ადრეული ჩარევა:** სოციალური და ემოციური განათლება მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო ადრეული ასაკიდან იწყება.
4) **მიზნობრივი ინტერვენცია:** სოციალურ და ემოციურ განათლებას თან უნდა ახლდეს მიზნობრივი ინტერვენციები რისკის ქვეშ მყოფი და სხვადასხვა კომპლექსური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის.
5) **მოსწავლეთა მონაწილეობა:** უნდა ისმოდეს მოსწავლეთა ხმა, - ისინი აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სკოლის სასწავლო გეგმის, რესურსებისა და სხვადასხვა ინიციატივების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში.
6) **მასწავლებელთა კომპეტენცია და კეთილდღეობა:** მასწავლებელთა და, ზოგადად, სკოლის პერსონალის სოციალური და ემოციური კომპეტენციები, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა არის სოციალური და ემოციური განათლების ძირითადი სივრცე, რის გარეშეც ის ვერ იარსებებს.
7) **მშობელთა თანამშრომლობა:** მშობლების ჩართულობით განათლების სისტემის გაძლიერებას გადამწყვეტი როლი აკისრია სოციალური და ემოციური განათლების წარმატების მიღწევაში.
8) **დანერგვის ხარისხი და ადაპტაცია:** მასწავლებელთა ადეკვატური და უწყვეტი განათლება, როგორც საქმიანობის დაწყებამდე მომზადების დონეზე, ასევე საქმიანობის განხორციელების პროცესში, ეფექტური მართვა, ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა აუცილებელი პირობაა სოციალური და ემოციური განათლების ეფექტური განხორციელებისთვის (Cefai et al., 2018).

პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევა გვიჩვენებს, რომ სოციალური და ემოციური განათლების სისტემური დანერგვა მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- სოციალური და ემოციური განათლების სტანდარტების ჩამოყალიბება, რომელიც წარმოადგენს სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების თანმიმდევრობისა და პრინციპების სახელმძღვანელოს;

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამების მიღება, რომელიც განავითარებს მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ უნარებს, როგორც საკლასო ოთახებში, ასევე მთელ სკოლაში;
- სტრატეგიების შემუშავება მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის, რათა დაამყარონ პარტნიორობა ბავშვების სოციალური და ემოციური კომპეტენციის/მდგომარეობისა და პოზიტიური ქცევის გასაუმჯობესებლად;
- სკოლის ფსიქოლოგიურ და სოციალურ სამსახურთან, აგრეთვე ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებთან კოორდინაცია, რათა შეიქმნას შესაბამისი მიდგომები სხვადასხვა კონტექსტში მოსწავლეთა უნარების განვითარებისა და ქცევის მართვისთვის;
- მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად სკოლის პერსონალს შორის კოორდინაცია სოციალური და ემოციური განათლების პრაქტიკის რეფლექსიის, მონაცემთა შეგროვებისა და გამოყენებისთვის;
- მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების უკუკავშირების მუდმივი გათვალისწინება, სკოლისა და რეგიონის რესურსცენტრების მიერ ახალი პოლიტიკის დოკუმენტებისა და არსებული სამეცნიერო მიღწევების შესწავლის პროცესში (Greenberg, 2023).

თავი 5 - საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

მიმდინარე თემატური მოკვლევის ფარგლებში საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვისა და ანალიზის მიზნით წარმოგიდგენთ ევროპის კავშირის 4 ქვეყანაში, კერძოდ, ავსტრიაში, მალტაში და ესტონეთში, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) სკოლის მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უნარების სწავლების მხარდაჭერის პრაქტიკასა და პროგრამებს, სკოლის ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისების ძირითად სამუშაო პრინციპებსა და სტრუქტურას.

შესწავლილ ქვეყნებში საკანონმდებლო დონეზე სასკოლო განათლების სისტემის გაცხადებულ სტატეგიულ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა გონებრივი, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა, დიფერენცირებული და

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლების მეთოდების დანერგვით. ამასთან, საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნევა მოსწავლის ინდივიდუალური და სპეციალური საჭიროებების გამოვლენა სწავლების საწყის ეტაპზევე, უკეთეს შემთხვევაში კი - სკოლამდელი განათლების საფეხურზე (ავსტრია).

მოსწავლის ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად სკოლები დაკომპლექტებულია შესაბამისი პერსონალით, რომელთა შორისაა: სკოლის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სპეციალური მასწავლებელი, მეტყველების თერაპევტი, სკოლის ექთანი/ექიმი და სხვ. ამასთან, სკოლებში ფუნქციონირებს სპეციალური საკონსულტაციო ცენტრები/ოფისები, რომელთა ამოცანას წარმოადგენს, არამხოლოდ მოსწავლეთა და მშობელთა მხარდაჭერა, არამედ უშუალოდ მასწავლებელთა კონსულტირება.

საგულისხმოა, რომ ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის უწყვეტი (განგრძობითი) პროფესიული განვითარება უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სკოლის პერსონალი და მასწავლებლები ვალდებულნი არიან იზრუნონ პროფესიული კვალიფიკაციის შენარჩუნება-ამაღლებაზე, რაც მხარდაჭერილია, როგორც ადგილობრივ (სკოლების) დონეზე, ასევე ცალკეული უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი პროფესიული ასოციაციების მიერ.

შესწავლილ ქვეყნებში ეროვნული სასწავლო გეგმა უმთავრესად ფოკუსირებულია საგნობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებაზე. საინტერესოა ესტონეთის შემთხვევა, სადაც დანერგილია სოციალური სწავლების კურსი, რომელიც მოიცავს ჰუმანიტარულ და სოციალურ განათლებას. სასწავლო კურსის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეს სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასა და საკუთარი თავის შეცნობაში, საზოგადოებასა და ადამიანის ცხოვრებაში ოჯახის როლის გაგებასა და გააზრებაში, ასევე მოსწავლის, როგორც ჯანსაღი, პატიოსანი, მზრუნველი, სამართლიანი და პასუხისმგებლიანი მოქალაქისა და პიროვნების ჩამოყალიბებას.

ავსტრია

მოსწავლის კონსულტირებისა და მხარდაჭერისთვის ავსტრიულ სკოლებში დანერგილია სხვადასხვა სახის სამედიცინო, სოციალური, ფსიქოლოგიური თუ კარიერული მხარდაჭერის

სერვისები:

- **სკოლის ფსიქოლოგი *(Schulpsycholog/innen)*** - განათლების, მეცნიერებისა და კვლევის ფედერალური სამინისტრო სამინისტრო ავსტრიის მასშტაბით მართავს 67 საინფორმაციო ცენტრს, რომელიც 151 სკოლის ფსიქოლოგის დახმარებით მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს სთავაზობს უფასო ფსიქოლოგიურ დახმარებას, თუ იკვეთება მოსწავლეთა სწავლისა და ქცევის სირთულეები, სკოლასთან და გამოცდებთან დაკავშირებული შფოთვა, ბულინგი, კარიერის დაგეგმვის საჭიროება, აგრეთვე, კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში, როცა ადამიანები დაზიანებით ემუქრებიან სხვებს ან საკუთარ თავს;
- **სკოლი ექიმის (Schulärzte/-ärztinnen)** ვალდებულებაა მოსწავლეებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა. ის გასცემს რეკომენდაციებს მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრებასთან და საჭირო სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებით;
- **სკოლის სოციალური მუშაკის (Schulsozialarbeiter/innen)** ამოცანაა ადრეულ ეტაპზევე სოციალური პრობლემების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირებაა;
- **ახალგაზრდების ქოუჩი *(Jugendcoaches)*** კონსულტირებას უწევს 15-დან 19 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, რომლებიც იმყოფებიან სკოლის მიტოვების ან სხვა სახის რისკის ქვეშ. როგორც წესი, მათ აქვთ გამოცდილება სოციალური მუშაობის, თერაპიული პედაგოგიკის, სოციალური პედაგოგიკის, სოციალური მენეჯმენტის ან ფსიქოლოგიის დარგში;
- **კარიერის კონსულტანტი *(Schüler- und Bildungsberater/innen)*** - საშუალო განათლების საფეხურზე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შესაძლებლობა აქვთ კონსულტაცია მიიღონ კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით კონსულტანტისგან.

ავსტრიის რესპუბლიკაში ყველა ტიპის სკოლისთვის ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს **განათლების, მეცნიერებისა და კვლევის ფედერალური სამინისტროს** დეპარტამენტი „სკოლის ფსიქოლოგია-სკოლის სამედიცინო სამსახური“, ან „სკოლის ფსიქოლოგიური კონსულტაციის სამსახური“ - საკონსულტაციო რეგიონული ცენტრები, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა რეგიონში, სადაც განათლებას იღებს ბავშვი. ეს არის უწყება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაში სკოლებს. უფასო, ნებაყოფლობითი, კონფიდენციალური მომსახურება

მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომია მაშინაც, თუ სკოლა არ გამოკვეთს საჭიროებას, მაგრამ სურვილს გამოთქვამს მოსწავლე ან/და მშობელი (სკოლის ფსიქო-სოციალური სერვისის გრაფიკული გამოსახულება იხილეთ დანართი #2-ში).

თუ ბავშვს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ან იკვეთება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, საჭიროებს ფსიქოთერაპევტს ან ფსიქიატრს, მისი გადამისამრთება ხდება სპეციალურ სერვისში, სადაც დასაქმებულები არიან ფსიქოთერაპევტები, ფსიქიატრები, ნეიროფსიქოლოგები, აღნიშნულს კი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობა. მკვეთრად გამოხატული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში, ბავშვს ამისამართებენ ადგილობრივ საავადმყოფოში, სადაც მას გაეწევა ფსიქიატრისა და ფსიქოთერაპევტის მომსახურება.

ამერიკის შეერთებული შტატები

მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება წარმოადგენს სასკოლო განათლების სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს, რომლის მისაღწევადაც, მაგალითად კალიფორნიის განათლების კოდექსი ითვალისწინებს სკოლებში, როგორც მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების სტანდარტიზებული ცენტრების, ასევე საგანმანათლებლო მრჩევლის/კონსულტირების ოფისების ფუნქციონირებას და მათ კომპლექტაციას შესაბამისი პერსონალით.

სკოლის მრჩევლის/კონსულტანტი მოსწავლეებს უწევს ინდივიდუალურ ან ჯგუფურ კონსულტაციებს ფსიქიკური ჯანმრთელობის, ქცევის, აკადემიური და შემდგომი საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. სკოლის კონსულტანტის ამოცანაა მოსწავლეთა ემოციური და სოციალური კომპეტენციების გაუმჯობესება, სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება, წიგნიერებისა და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლოს პროგრამებში ჩართულობის ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა ინკლუზიის გაძლიერების მიზნით, სკოლის კონსულტანტი უზრუნველყოფს მშობლის ჩართულობის ხარისხის ზრდას, მოსწავლის საჭიროებისამებრ შემუშავებული სასწავლო გეგმის განხორციელებას და სხვ. საგულისხმოა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის არსებობს სპეციალური კლასები და ადაპტირებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც

დიფერენცირებულია ერთმანეთისგან შესაძლებლობების შეზღუდვის ტიპისა და ხარისხის მიხედვით. ამასთან, სასკოლო განათლების სისტემა ითვალისწინებს **სპეციალური მასწავლებლის** პოზიციას, მოსწავლეთა სპეციალურ საჭიროებებთან გამკლავების მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატების სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის მოდელი

სკოლის ფსიქოლოგები აღჭურვილნი არიან ცოდნითა და გამოცდილებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობა, სწავლა-სწავლება, ქცევაზე დაკვირვება, ქცევისა და ემოციების მართვა. აღნიშნული ექსპერტიზა სკოლის ფსიქოლოგს საშუალებას აძლევს დაეხმაროს ბავშვებსა და ახალგაზრდებს აკადემიურ და სოციალურ სფეროებში წარმატებების მიღწევაში, ქცევისა და ემოციების მართვის უნარების განვითარებაში. სკოლის ფსიქოლოგები თანამშრომლობენ ოჯახებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და სხვა პროფესიონალებთან, რათა შექმნან უსაფრთხო, ჯანსაღი და მხარდამჭერი სასწავლო გარემო, რომელიც აძლიერებს ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთკავშირს. სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციაა მოსწავლეების სწავლის და მასწავლებელთა სწავლების შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვდებით ორი ტიპის სკოლის ფსიქოლოგს: ერთი, რომელიც მუშაობს სკოლაში და მეორე, რომელიც დასაქმებულია სხვა საგანმანათლებლო თუ კლინიკურ სერვისებში (აგრეთვე, შესაძლოა ჰქონდეს კერძო პრაქტიკა ან/და მუშაობდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში). მათი სამუშაო აღწერილობები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, თუ სად მდებარეობს სკოლის ფსიქოლოგის ოფისი. თუ არსებობს იმის ფუფუნება, რომ ერთი სკოლის ფსიქოლოგი მოემსახუროს ერთ სკოლას, მაშინ სკოლის ფსიქოლოგის ოფისი განთავსებულია სკოლის შენობაში, ხოლო თუ სკოლის ფსიქოლოგი ემსახურება რამდენიმე სკოლას (ძირითადად, 2-3 სკოლა), მაშინ მისი ოფისი მდებარეობს სკოლის გარეთ, მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის ადგილობრივ ცენტრში.

რეკომენდირებულია **1 სკოლის ფსიქოლოგი ემსახურებოდეს 500-700 მოსწავლეს.**

სკოლის ფსიქოლოგის როლი და ფუნქციები:



ესტონეთი

მხარდაჭერის სპეციალისტებს შორის, კომპეტენციები განაწილებულია შემდეგნაირად:

1. სპეციალური მასწავლებელი:

- განსაზღვრავს მოსწავლის განვითარებისა და სწავლის უნარების დონეს და არკვევს მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებსა და სწავლის საჭიროებებს;
- ხელმძღვანელობს და კონსულტაციას უწევს მასწავლებლებს სწავლების დაგეგმვასა და წარმართვაში;
- ამზადებს და წარმართავს დამხმარე ჯგუფურ ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს სასწავლო დაწესებულებაში.

2. მეტყველების თერაპევტი:

- აფასებს მოსწავლის კომუნიკაციურ შესაძლებლობებს და ავლენს კომუნიკაციის დარღვევების მქონე მოსწავლეებს;

- ხელს უწყობს მათი მეტყველებისა და წერის განვითარებას და შეიმუშავებს მათთვის შესაფერისი საკომუნიკაციო გარემოს შექმნის რეკომენდაციას;
- მხარს უჭერს მასწავლებლებს მოსწავლეთა კომუნიკაციური შესაძლებლობების განვითარებასა და აღდგენაში.

3. ფსიქოლოგი:

- აფასებს ისეთ ფაქტორებს (ფსიქიკური პროცესები, პიროვნული მახასიათებლები, ემოციური მდგომარეობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, კომუნიკაციისა და ქცევითი უნარები), რომლებიც გავლენას ახდენენ, ერთი მხრივ, მოსწავლის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება მოსწავლეს სწავლის პროცესის დაძლევაში;
- კონსულტაციას უწევს მოსწავლეებს სწავლასთან და ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, შემეცნებითი პროცესების, ინტელექტუალური მუშაობის, ქცევითი და კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, სწავლასა და კარიერული არჩევანის გაკეთებასთან დაკავშირებით;
- კონსულტაციას უწევს მშობლებსა და სკოლის პერსონალს კრიზისული პერიოდების დაძლევის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. სოციალური აღმზრდელი:

- აფასებს და აანალიზებს მოსწავლის სოციალურ უნარებს და იმ ფაქტორებს, რაც ხელს უშლის მოსწავლის ასაკის შესაბამის აქტივობებში ჩართვას და მოსწავლის კომუნიკაციის უნარებისა და სოციალური კომპეტენციების ჩამოყალიბებას;
- აიდენტიფიცირებს სოციალურ და სკოლასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ შორის ძალადობისა და სოციალური გარიყულობის შემთხვევებს და შეიმუშავებს მისი პრევენციისა და გადაწყვეტის გზებს;

საგულისხმოა, რომ სოციალური აღმზრდელის მომსახურება ორდონიანია: პირველ დონეზე სოციალური მომსახურება უზრუნველყოფილია უშუალოდ სასკოლო დაწესებულებებში, ხოლო, მეორე დონის შემთხვევაში - რეგიონალური მართვის ცენტრებში (Pathfinder). სოციალური მომსახურების ხარჯები იფარება მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ესტონეთში ფუნქციონირებს კერძო სამართლის იურიდიული პირი - სკოლის ფსიქოლოგთა ასოციაცია, რომლის ძირითადი მიზანიც სკოლის ფსიქოლოგიის, როგორც დარგის ზრდისა და განვითარების ხელშეწყობაა. ასოციაცია, ასევე, მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს მოსწავლეთა მენტალურ კეთილდღეობას, წვლილი შეიტანოს საგანმანათლებლო სისტემაში ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული პრინციპების დანერგვასა და სკოლის ფსიქოლოგთა პროფესიულ განვითარებაში. ასოციაციაში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რაც ამსუბუქებს სკოლის ფსიქოლოგთა დეფიციტით გამოწვეულ ტვირთს.

სოციალური განათლება მოიცავს **ისტორიის, ჰუმანიტარული** და **სოციალური სწავლების** მიმართულებებს. **ჰუმანიტარული განათლების *(human studies),*** როგორც სასწავლო კურსის მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეს სოციალური და ემოციური უნარების განვითარებასა და საკუთარი თავის შეცნობაში, საზოგადოებასა და ადამიანის ცხოვრებაში ოჯახის როლის გაგებასა და გააზრებაში, ასევე მოსწავლის, როგორც ჯანსაღი, პატიოსანი, მზრუნველი, სამართლიანი და პასუხისმგებლიანი მოქალაქისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. ჰუმანიტარული განათლების მიმართულებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ოჯახურ განათლებას (family education) ეთმობა, რომელიც ორიენტირებულია ოჯახთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეთიკური და სამართლებრივი საკითხების ანალიზზე.

მალტა

მალტაში „განათლების ფსიქოსოციალური სამსახური“ მართავს სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურს (SPS), ფსიქოთერაპიულ მომსახურებას, ახალგაზრდულ მუშაკთა პროფესიულ სერვისს, კარიერის დაგეგმვის, სოციალურ მუშაკთა თუ უსაფრთხოების სერვისებს (იხ.: დანართი #3)

სკოლის ფსიქოლოგიური სამსახური (SPS) ხელს უწყობს სკოლებში ჯანსაღი ფსიქო-საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც აუცილებელია სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლისა და განვითარებისთვის. ეს შესაძლებელია, როგორც პრევენციული ღონისძიებებით, ასევე ინტერვენციით.

სკოლის ფსიქოლოგს შეუძლია ჩაერთოს სამ დონეზე: 1) კონსულტირება, 2) ტრენინგები და 3) ინდივიდუალური ინტერვენციები.

ფსიქოთერაპიული მომსახურება

თუ მოსწავლეს აღენიშნება შფოთვის ნიშნები, გუნება-განწყობის დაქვეითება, ემოციების ან ქცევის მართვის სირთულე, ის შესაძლოა გადამისამართდეს ფსიქოთერაპიულ სერვისში. ფსიქოთერაპიის სერვისის ხედვაა ხელი შეუწყოს კეთილდღეობის განცდას არა მხოლოდ ინდივიდუალური სტუდენტის დონეზე, არამედ კლასისა და მთელი სკოლის დონეზე.

ახალგაზრდულ მუშაკთა პროფესიული მომსახურება

ახალგაზრდული მუშაკები არიან პედაგოგები, რომლებიც მუშაობენ პიროვნულ, სოციალურ, ემოციურ და სკოლის პოლიტიკის საკითხებზე. ახალგაზრდული მუშაკების სერვისი მოწოდებულია განათლების ფსიქოსოციალური გუნდის სერვისის ფარგლებში. ისინი მომსახურებას უწევენ, ძირითადად, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს. ახალგაზრდული მუშაკები მოსწავლეებთან მუშაობენ არაფორმალური და ფორმალური განათლების კუთხით, ძირითადად, პროექტების ფარგლებში. სერვისები უზრუნველყოფილია დამრიგებლებთან და საგნის მასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ახალგაზრდული მუშაკების პროგრამები მიმართულია ქცევის ცვლილებაზე, უნარების გაუმჯობესებაზე, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე.

კარიერის დაგეგმვის სამსახური

კარიერის დაგეგმვის სამსახური მიზნად ისახავს მოსწავლეთა ინფორმირებას და მომზადებას დასაქმებასთან დაკავშირებით. ის ასევე გულისხმობს მოსწავლეთა დახმარებას საგნების არჩევაში და აორგანიზებს სამუშაო ადგილებზე ერთკვირიან ვიზიტებს. აღნიშნული ღონისძიებები სხვა ინიციატივებთან ერთად იმართება არა მხოლოდ სასწავლო წლის განმავლობაში, არამედ საზაფხულო არდადეგების დროსაც.

სოციალურ მუშაკთა მომსახურება

სოციალური მუშაკი ერთვება, როდესაც მოსწავლეები აცდენენ სკოლას არასაპატიო მიზეზით, ოჯახს აქვს რთული პერიოდი და მშობლები ვერ ახერხებენ შვილების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ბულინგისგან დაცვის მომსახურება

ბულინგისგან დაცვის მომსახურება წარმოადგენს უსაფრთხო სკოლების პროგრამის ნაწილს განათლების ფსიქოსოციალურ სამსახურში. ეს სერვისი მიზნად ისახავს სკოლის პერსონალის მხარდაჭერას ანტიბულინგის პოლიტიკის განხორციელებაში, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას/ტრენინგებს ბულინგთან გამკლავებაში, ბულინგის ინციდენტებთან დაკავშირებით სკოლების ინიციატივებისა და ძალისხმევის მხარდაჭერასა და კოორდინაციას, ბულინგის სხვადასხვა ფორმის იდენტიფიცირებას, შეფასებას.

ინტერვენცია გულისხმობს ბულინგის ჩამდენი მოსწავლეების პროსოციალური უნარების განვითარების მხარდაჭერას, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უზრუნველყოფას აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკის საშუალებით, ბულინგის მსხვერპლების თვითშეფასების ამაღლების ტრენინგებს. გარდა ამისა, ტარდება თერაპიული სესიები, რათა დაეხმარონ ძალადობის ჩამდენ მოსწავლეებს ბრაზის მართვისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებაში.

ბავშვთა დაცვის სერვისი სპეციალიზირებულია ბავშვზე ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

გუნდი მუშაობს არა მარტო ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან, არამედ რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთანაც. ეს არის შემთხვევები, როდესაც ბავშვები ცხოვრობენ მათი სიცოცხლისა და განვითარებისთვის სახიფათო გარემოში.

აღნიშნული სერვისის თანამშრომლები ზრუნავენ ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გადარჩენასა და მათი ღირსების დაცვაზე. ისინი მუშაობენ ცნობიერების ამაღლებაზეც იმის შესახებ თუ რა არის ძალადობა, როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება და ვის უნდა მიმართონ ძალადობის შემთხვევაში. სესიებს აგრეთვე სთავაზობენ სკოლის პერსონალს, მშობლებს/მეურვეებს, ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს და ნებისმიერს, ვინც დაინტერესებულია ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხებით.

განათლების ფსიქოლოგის როლი, ფუნქცია და მოვალეობები:

მალტაში რამდენიმე სკოლას ჰყავს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელიც მუშაობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან. გუნდის შემადგენლობაში არიან: განათლების ფსიქოლოგი, სკოლის ხელმძღვანელი, სკოლის მრჩეველი, სკოლის სოციალური მუშაკი, მეტყველების თერაპევტი და სკოლის სამედიცინო ოფიცერი.

განათლების ფსიქოლოგების მთავარი ფუნქციაა ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების სერვისების უზრუნველყოფა. შეფასება ტარდება ან სწავლის სირთულეების დიაგნოსტირებისთვის, ან მოსწავლისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირებისთვის.

განათლების ფსიქოლოგის კვალიფიკაცია:

განათლების ფსიქოლოგის ლიცენზიის მოსაპოვებლად ფსიქოლოგს სჭირდება მინიმუმ 10 წელი: 3 წელი ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის მისაღებად (წარჩინებით) დამატებით 1 წელი მასწავლებლის კვალიფიკაციის მისაღებად, ასევე 2 წელი სკოლაში სწავლების გამოცდილება, 2 წელი ფსიქოლოგის მაგისტრის ხარისხის მისაღებად, ხოლო 2 წლიანი პრაქტიკა სუპერვიზიით.

თავი 6 - საკითხის მიმოხილვა შემოსული მოსაზრებების საფუძველზე

სოციალური და ემოციური უნარების სწავლების საკითხები

შემოსულ მოსაზრებათა ავტორები ცალსახად უსვამენ ხაზს სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის უდიდეს მნიშვნელობას: *„სკოლამ აკადემიურ მომზადებაზე უფრო მეტი უნდა შესთავაზოს მოსწავლეებს, რათა მათ ჰოლისტურ განვითარებას შეუწყოს ხელი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთეულ ურბანულ ცენტრებს, საქართველოს უმეტეს დასახლებებში სკოლა ხშირად ერთადერთი სივრცეა მოსწავლეების სოციალიზაციისა და*

განვითარებისთვის. ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სკოლებში სოციალური და ემოციური კომპეტენციებისა და უნარების განვითარება“ (კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, 2022).

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს სოციალურ-ემოციურ სწავლებაზე, აღნიშნული მიზნის პრაქტიკაში მიღწევა მეტ ძალისხმევას მოითხოვს, მათ შორის პოლიტიკის დოკუმენტების სრულყოფისა და მასწავლებელთა კომპეტენციის ზრდის თვალსაზრისით.

მოკვლევის პროცესში ჩართული რამდენიმე სკოლა (4) ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სოციალურ-ემოციური უნარების სწავლება, როგორც საგანი, აირჩიეს და გამოსცადეს. მათი გამოცდილებით, სწავლების შედეგს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად მასწავლებლის სოციალური და ემოციური უნარები, მისი მომზადების დონე, პროგრამის ხარისხი, მხარდამჭერი გუნდი, მშობელთა ჩართულობა და ფიზიკური გარემო.

რამდენიმე საჯარო სკოლის (8) მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ემოციური და სოციალური უნარების განსავითარებლად იყენებენ სადამრიგებლო საათს.

მოსაზრებათა ავტორები (როგორც საჯარო სკოლების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) აღნიშნავენ, რომ სოციალური და ემოციური კომპეტენციების სწავლება მიმდინარეობს ფრაგმენტულად, ნაკლებად არის თანმიმდევრული და სისტემური. თითქმის ყველა ავტორის მოსაზრებაა შეჯამებული კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრის (სკოლა ლაბი) მიერ წარმოდგენილ მოსაზრებაში: *„ემოციური და სოციალური კომპეტენციების სწავლება უნდა მიმდინარებდეს არა ექსკლუზიურად ერთი ფორმით, არამედ ერთი ან რამდენიმე მიდგომის კომბინირებით: კურიკულუმთან ინტეგრირებულად, დამოუკიდებელი საგნის/საგნების ფარგლებში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სკოლაში სოციალური დაცვის სერვისების, სკოლის ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის ხელმისაწვდომობით და ბოლოს, მნიშვნელოვანია უსაფრთხო, ინკლუზიური და წამახალისებელი სასწავლო გარემო და რესურსები“.*

ემოციური და სოციალური განათლების დანერგვის ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის იკვეთება არა მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მზაობის ნაკლებობა და „პროფესიული გადაწვის“ მაღალი დონე, არამედ სკოლის ერთიანი მიდგომის დეფიციტი

- მნიშვნელოვანია მუშაობა კათედრების დონეზე, სპორტისა და ფიზიკური ჯანმრთელობის საკითხების ხარისხიანი სწავლა, მთელი სკოლის უზრუნველყოფა ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის ხარისხიანი მომსახურებით. ამასთანავე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასკოლო საზოგადოების, განსაკუთრებით მშობელთა დაბალი ცნობიერება მოსწავლეთა სოციოემოციურ საკითხებთან დაკავშირებით.

არაფორმალური განათლების როლი

მოსაზრებათა ავტორები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ არაფორმალური განათლების როლზე სოციალური და ემოციური უნარების განვითარების პროცესში. მრავალი სკოლა გვიზიარებს საკუთარ მიღწევებს აღნიშნული მიმართულებით. მაგალითად, როგორც ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანის საჯარო სკოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, მათი მოსწავლეები „*...მიეჩვივნენ დამოუკიდებლად აიღონ ინიციატივები, გამოთქვან ვარაუდები, უკეთ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, რასაც ისინი მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით ვერ შეძლებდნენ. ისინი არაფორმალური განათლების გამოყენებით არამარტო თავიანთი სკოლის ფარგლებში იქცნენ დამოუკიდებელ და ინიციატივიან მოსწავლეებად, არამედ სხვა სკოლის მოსწავლეებთანაც თანამშრომლობენ“.*

მარნეულის N5 საჯარო სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, არაფორმალური განათლება ხელს უწყობს სკოლისადმი მიკუთვნებულობის ზრდას: *„ჩვენი სკოლის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსწავლეთა არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართვამ, კლუბური საქმიანობის გაძლიერებამ, გაზარდა ჩართული მოსწავლეების მიკუთვნებულობის განცდა სკოლისადმი.“*

სკოლის შემდგომი აქტივობები რომ ყველა მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და სკოლები მაქსიმალურად ცდილობენ აღნიშნული საჭიროების დაკმაყოფილებას, მოსაზრებათა თითქმის ყველა ავტორი თანხმდება, თუმცა აქვე ხაზს უსვამენ მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი კლუბების ჩამოყალიბების და სკოლის შემდგომი სასწავლო პროგრამების ხარისხის კონტროლის მნიშვნელობას.

თელავის N4 საჯარო სკოლის მიერ გაზიარებული ინფორმაციის მიხედვით, „არაფორმალური *განათლება ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების, ციფრული უნარების, ცხოვრებისეული*

და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებას. ამ უნარების დაუფლებით იგი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ემზადება და ხდება თავდაჯერებული. კლუბებში მუშაობის პროცესში მოსწავლე არ არის დაძაბული, სწავლა თვითკონტროლირებადია. მოსწავლე უფრო კრეატიული და თავისუფალი ხდება".

მოსაზრებათა ავტორები, კერძოდ კი განათლების ექსპერტები, აქცენტს აკეთებენ სკოლებში სოციალური პროექტების მნიშვნელობაზე. მათი განცხადებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასურველია სავალდებულო იყოს მინიმუმ ერთი სოციალური პროექტის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სკოლის, თემის საჭიროებაზე, ვინაიდან მსგავსი ტიპის პროექტები მოსწავლეებში ავითარებს თვითდისციპლინას, მიზანდასახულობას, ორგანიზებულობას, პერსპექტივის განსაზღვრის უნარს, ემპათიას, გუნდურობას, პრობლემების გადაჭრის უნარს.

გამოწვევებს შორის სახელდება სკოლის ბიუჯეტის სიმწირე და განკარგვასთან დაკავშირებული შეზღუდვები. სკოლებს უჭირთ უზრუნველყონ მიღებული შედეგების მდგრადობა. სკოლებს ცალკეულად არ აქვთ ბიუჯეტში თანხა განსაზღვრული მოსწავლეთა წახალისების, შესაძლებლობების გამოვლენისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, მოსაზრებების ავტორები (საჯარო სკოლების წარმომადგენლები) გამოწვევად ასახელებენ იმასაც, რომ სკოლაში არ არსებობს სპეციალურად გამოყოფილი პირი, რომელიც ცალსახად მოსწავლეთა კლუბებისა და ინიციატივების მუშაობას შეუწყობს ხელს.

გაზიარებული ხედვაა, რომ არაფორმალური განათლება, სოციალური პროექტები, კლუბები ხელს უწყობს სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას. კლუბების ჩამოყალიბებასა და რეალიზებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს თავად მოსწავლე. მოსწავლის ჩართულობა არაფორმალურ განათლებაში პასუხისმგებლობის განვითარებისა და სასკოლო საქმიანობისადმი მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბების კარგი შესაძლებლობაა. თუმცა, მოცემულ ეტაპზე, მოსწავლეები საჭიროებენ სკოლის მხარდაჭერას კლუბების, სოციალური პროგრამებისა და სხვა არაფორმალური აქტივობების ფართოდ გასაშლელად.

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პროცესში

მოსაზრებათა ავტორების, კერძოდ კი საჯარო სკოლების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ სკოლებში მოსწავლეთა ინიციატივები გათვალისწინებულია, რაც აისახება სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

თუმცა, სკოლების წარმომადგენელთა მეორე ნაწილი და ექსპერტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მოცემულ ეტაპზე არ არის ეფექტიანი: *„ისევე როგორც სამეურვეო საბჭოები, ეს უკანასკნელიც ფორმალური ხასიათისაა. მართალია, ბოლო წლებში შეიმჩნევა მოსწავლეთა თვითმმართველობების გააქტიურების ტენდენცია, თუმცა მოსწავლეები არაერთ ბარიერს აწყდებიან უკუკავშირისა და გაპროტესტებისას, მათ შორის, სასკოლო პერსონალის წინარწმენებისა თუ დამოკიდებულებების საფუძველზე. არადა სწორედ ამ რგოლების ეფექტიანი მუშაობა უწყობს ხელს მოსწავლეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.*

მასწავლებელთა მზაობა და რესურსები

იმ მოსაზრებათა ავტორები, ვინც კმაყოფილებას და თავდაჯერებას გამოხატავენ მასწავლებელთა მზაობის მიმართ, უმცირესობაში არიან. მაგალითად, ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ *„მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომია მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები. სკოლის ბიბლიოთეკაში მოიპოვება მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უნარების სწავლების ლიტერატურა. სკოლაში არის ორი კომპიუტერული ლაბორატორია, არის საკმარისი სიჩქარის ინტერნეტი. მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ მასალებს მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური განვითარების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია პუნქტი მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური განვითარების შესახებ. დროში გაწერილია საკითხები და საქმიანობები ამ მიმართულებით. გამომდინარე აქედან, მასწავლებლები საკმაოდ კარგად ფლობენ მექანიზმებს სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების შესახებ“.*

მოსაზრებათა ავტორების დიდი უმრავლესობა (არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური სფეროს და საჯარო სკოლების წარმომადენლები) ხაზს უსვამს შემდეგ გამოწვევებს:

- მასწავლებლების უმეტესობა არ არის მზად სოციალური და ემოციური განათლების დანერგვისთვის, არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი და შესაბამისად, თავადაც საჭიროებენ სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას;
- მასწავლებლების ცენტრალიზებულად ორგანიზებული ტრენინგები ვერ წყვეტს ზემოხსენებულ პრობლემას, ვინაიდან ის არ არის მორგებული მასწავლებელთა საჭიროებებზე და ასევე არ შეიცავს პრაქტიკის კვლევისა და რეფლექსიის კომპონენტებს;
- განსაკუთრებული სირთულეების წინაშე დგანან არაქართულენოვანი სკოლები. მარნეულის N1 საჯარო სკოლის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ *„თანამედროვე მეთოდური ლიტერატურა აზერბაიჯანულ ენაზე არის ძალიან მწირი. ამიტომ სკოლას ძალიან უჭირს ამ მიმართულებით პედაგოგების ადგილზე გადამზადება, რადგან არსებობს ენობრივი ბარიერი და სასურველი იქნება საჭიროების მიხედვით მათი გადამზადება მშობლიურ ენაზე“.*
- თავად მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საუნივერსიტეტო განათლება და პროფესიული მომზადება-გადამზადება მათ არ აწვდის სათანადო ცოდნას სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების მიმართულებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებელთა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტების გადამზადება/გაძლიერება, რადგან ხშირად რთულდება სსსმ მოსწავლის ინტეგრაცია კლასის, სკოლის და თავად სსსმ მოსწავლისა და მისი მშობლის არასათანადოდ შემზადების გარეშე, რასაც უნდა აკეთებდეს სპეციალისტთა გუნდი მაღალკვალიფიციურ დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მულტიდისციპლინური გუნდების ადამიანური რესურსით გაძლიერება, რათა მათი მთავარი ფუნქცია იყოს არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება, არამედ სპეციალისტთა მხარდაჭერაც.

მასწავლებელთა გადამზადებისთვის მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რათა მასწავლებლებმა შეძლონ მაღალი ხარისხის მომსახურების მიღება და სხვადასხვა ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთება.

მნიშვნელოვანია მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის სხვა პერსონალისთვის მიზნობრივი გადამზადების პროგრამების შემუშავება. აღნიშნული შესაძლოა წარმადგენდეს, როგორც ცენტრალზიებულად ორგანიზებულ ტრენინგ მოდულებსა და სკოლის ბაზაზე გადამზადების შესაძლელობბას, ასევე სკოლების მიერ გარე აკრედიტებული მხარდამჭერების მოძიებას. აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრა განახორციელოს არსებული სატრენინგო მოდულების სოციალურ- ემოციურ კომპეტენციების სწავლების კუთხით გადახედვა.

სკოლის ფსიქოლოგის როლი

როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე აკადემიური სფეროს და საჯარო სკოლების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სკოლის ფსიქოლოგთა მომსახურების გარეშე სკოლაში მოსწავლეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა და სოციალური და ემოციური განათლების დანერგვა დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, მათი მოსაზრებით მანდატურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგებსა და ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისში ჩართულ ფსიქოლოგებს მხოლოდ მოსწავლეთა 4-5%-თან უწევთ მუშაობა, დანარჩენებისთვის კი ფსიქოლოგის მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი. უმნიშვნელოვანესია სკოლის ფსიქოლოგის რგოლის გაჩენა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში: *„სკოლის ფსიქოლოგებს უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, რომ მეტ სკოლაში იყოს ხელმისაწვდომი ფსიქოლოგის რესურსი, ასევე, ბავშვებსა და მშობლებს ჰქონდეთ ინფორმაცია სკოლაში ფსიქოლოგის ფუნქციების და საჭიროების შემთხვევაში, მიმართვის გზების შესახებ.“*

„სკოლის ფსიქოლოგის უპირატესი მოვალეობაა მოსწავლეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების პრევენციაზე და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობაზე ზრუნვა, რაც

ცნობიერების ასამაღლებელი ჯგუფური სამუშაოების ჩატარებას და სკოლის პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას გულისხმობს.“

სკოლის ფსიქოლოგის უმნიშვნელოვანეს მოვალეობებს შორის შედის უფროსკლასელებისთვის პროფკონსულტირების გაწევა კარიერისა და შემდგომი განათლების შესახებ საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, აგრეთვე მოსწავლის სასკოლო მზაობის, ახალ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციისთვის საჭირო უნარების და მოგვიანებით, ადაპტაციასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეების შეფასება.

სკოლის მზაობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მზაობის არარსებობის შემთხვევაში, ხშირად მოსწავლე იღებს გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ ზიანს, რაც კლასიდან კლასში გადასვლასთან ერთად ღრმავდება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პირველ კლასელთა დარეგისტრირების პრაქტიკა გამორიცხავს წინასწარ სკოლის ფსიქოლოგის მიერ მოსწავლის მზაობის შემოწმებას, ხშირი შემთხვევაა, როცა სწავლის დაწყებისთანავე იკვეთება ქცევითი, ემოციური თუ სოციალური უნარების სირთულეები. ასეთ შემთხვევებში, სკოლის ფსიქოლოგს შეუძლია გაუწიოს რეკომენდაცია მშობელს, თუ რა სირთულეებისგან დაიცავს ბავშვს 1 წლით გვიან შეყვანა სკოლაში და საჭიროების შემთხვევაში, როგორ უნდა მოამზადონ ბავშვი ამისთვის.

მოსაზრებათა ავტორების, კერძოდ კი ექსპერტებისა და საჯარო სკოლების წარმომადგენელთა აზრით, იმის გამო, რომ დღეს საჯარო სკოლებში არ არსებობს სკოლის ფსიქოლოგის სერვისი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისთვისაც, ხშირად მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში დასაქმებულ ფსიქოლოგებს უწევთ სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობის შეთავსებაც, რადგან მათთან გადამისამართება ხდება იმ მოსწავლეებისაც, ვისაც წესით სკოლის და კლასის დონეზე უნდა გაეწიოს მომსახურება. ამიტომ მიმართვიანობა არის გაცილებით მაღალი, ვიდრე ამას უნდა უზრუნველყოფდეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი მისი ფუნქციებიდან გამომდინარე. მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება რთულდება, ერთი მხრივ, ტრანსპორტირებასთან, მშობელთა დროისა თუ ფინანსურ რესურსებთან (ბავშვები ტარება რეგიონულ ცენტრებში) დაკავშირებული პრობლემების და

მეორე მხრივ, სკოლის ფსიქოლოგის არარსებობით გამოწვეული გაზრდილი მიმართვანობის გამო.

თემატური მოკვლევის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა სკოლის ფსიქოლოგის სრული შტატის და აღნიშნული პროფესიის მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების აუცილებლობა.

რაც შეეხება, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის სერვისში ჩართულ ფსიქოლოგებს, არსებულ სირთულეებზე ვკითხულობთ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში (2019): *„ფსიქოლოგის შრომის რეკომენდებული ანაზღაურება საკმარისი არ არის და მის მიერ შესრულებული სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ფსიქოლოგს, სპეციალურ მასწავლებელთან მიმართებით, არათანაბარ პირობებში აყენებს. შესაბამისად, მათი მხრიდან დასახელებული პოზიციისადმი ინტერესი დაბალია. მონიტორინგმა გამოავლინა, რომ ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ ფსიქოლოგთა რაოდენობა სამიზნე სკოლებში მკვეთრად ჩამოუვარდებოდა სპეციალურ მასწავლებელთა რაოდენობას, მიუხედავად დასახელებული კადრის საჭიროებისა“.*

სახელმძღვანელოების, სხვა რესურსებისა და სასკოლო გარემოს როლი სოციალური და ემოციური განათლების დანერგვაში

მოსაზრებათა ავტორები (აკადემიური სფეროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) აღნიშნავენ, რომ *„მიუხედავად ცალსახა პროგრესისა და იმ ფაქტისა, რომ არსებული სახელმძღვანელოების ნაწილში გარკვეული დოზით ასახულია სოციალური და ემოციური უნარების განვითარების პერსპექტივა, სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ნაკლებად არის ინკლუზიური, მრავალფეროვანი და განსხვავებული პერსექტივების გააზრებაზე ორიენტირებული, უფრო მეტად ორიენტირებულია არა სწავლების შინაარსზე, არამედ მსჯელობის წახალისებაზე, რაც ხშირ შემთხვევაში განპირობებულია გრიფირების პროცედურით.“*

შემოსულ მოსაზრებათა ავტორები (საჯარო სკოლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები) განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ მასწავლებლების სახელმძღვანელოებსა და საგნობრივ გზამკვლევებზე და აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში, არც არის ხელმისაწვდომი მსგავსი რესურსი, არსებულში კი სოციალური და ემოციური უნარების სწავლების პერსპექტივები არ არის სათანადოდ ასახული.

„იმისათვის, რომ სახელმძღვანელოები პასუხობდეს სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის მიზნებს, ავტორებმა კარგად უნდა იცოდნენ, თუ რას გულისხმობს სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების მეთოდები, უნდა იცნობდნენ შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმასა და მონიტორინგის ინსტრუმენტებს.“

მოსაზრებათა ავტორები, აგრეთვე გამოკვეთენ სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების სახელმძღვანელოებისა და პროგრამების წარდგენისა თუ გაცნობის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროებას.

რაც შეეხება სასკოლო გარემოს როლს, თემატური მოკვლევის მონაწილე სპეციალისტები აქცენტს აკეთებენ სკოლის ფიზიკური გარემოს უდიდეს მნიშვნელობაზე სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების პროცესში და აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისით, სკოლებს სჭირდებათ, როგორც გამართული ინფრასტრუქტურა უშუალოდ კლასების დონეზე, ასევე სოციალური სივრცეები, რომელიც *„მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, რომ უფრო მშვიდ, ღია, სასიამოვნო გარემოში ისაუბრონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.“*

მშობელთა ჩართულობის როლი

მოსაზრებათა ავტორების სრული უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მშობელთა ჩართულობას მოსწავლის სწავლის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა სკოლისთვის ეს დიდ გამოწვევად რჩება.

დუშეთის N1 საჯარო სკოლის გამოცდილების მიხედვით, ეფექტურია მშობელთა ჩართულობის შემდეგი ფორმების გამოყენება:

- *„კლასის დამრიგებელთა შეხვედრები მშობლებთან;*
- *საკლასო ღონისძიებების დაგეგმვასა და მომზადებაში მონაწილეობა;*

- *კონფერენციებზე, გამოფენებზე მიწვევა, სადაც მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს;*
- *მშობელთა შეხვედრები სკოლის დირექტორთან, მშობელთა მოწვევა სკოლის მიერ დაგეგმილ ღონიძიებებზე;*
- *ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც წარვუდგენთ ანგარიშს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ;*
- *სკოლის მიერ დაგეგმილ კვლევებში მონაწილეობა;*
- *ონლაინ შეხვედრები სკოლისთვის საჭირო სხვადასხვა თემატიკაზე;*
- *სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მშობელთა ჩართულობისთვის დაგეგმილი შეხვედრები და სხვა.“*

მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთ ბარიერად იკვეთება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ სახელმწიფო ენის ფლობასთან დაკავშირებული სირთულეები და აგრეთვე, რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურ შრომასთან (ფერმერთა საველე სამუშაოები) დაკავშირებული დროის დეფიციტი. აღნიშნულზე საუბრობს მარნეულის საჯარო სკოლის წარმომადგენელი: *„სკოლაში ფუნქციონირებს დედების კლუბი, სადაც ვცდილობთ სოციალურ-ემოციურ და სხვა საკითხებზე ავუმაღლოთ ცნობიერება მშობლებს და თემის წარმომადგენლებს, თუმცა ეს არაა საკმარისი. მშობლების უმეტესობას არ აქვს დრო ამ კლუბის აქტივობებზე დასწრების, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია, თუმცა მაინც ვახერხებთ გარკვეულწილად იფუნქციონიროს კლუბმა, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილობრივი თემისთვის. თუმცა აქაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ენობრივი ბარიერი“.*

თემატურ მოკვლევაში მონაწილე საჯარო სკოლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სკოლის მოსწავლეთა მშობლების დიდ ნაწილს არა აქვს ცოდნა და გამოცდილება, რათა დამოუკიდებლად გაუმკლავდეს შვილების ფსიქოემოციურ საჭიროებებს. ამიტომ, ხშირად ითხოვენ მშობლები დახმარებას შვილების ქცევის მართვის სირთულეების გამო, ისინი საჭიროებენ სისტემურ მხარდაჭერას. როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გვიზიარებს, *„ხშირად, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მშობლები იმდენად დაშორებულები არიან საკუთარ შვილებს და არ იცნობენ მათ საჭიროებებს, რომ მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა და შვილებთან დაახლოების*

ხელშეწყობა. ისინიც უნდა იქცნენ სკოლის თემის მნიშვნელოვან წევრებად, რადგან ხშირად, ბავშვების სოციალური და ემოციური მხარდაჭერა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მშობელთან მუშაობის საჭიროებასთან".

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის როლი

მოსაზრებათა ავტორების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მანდატურის სამსახურის მუშაობა ეფექტურია მათი დაფარვისა და მანდატის ფარგლებში, რაზეც მიანიშნებს მათ მომსახურებებზე მიმართვიანობის ზრდა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას #1 საჯარო სკოლის მიერ გაზიარებული მოსაზრებით, *„მანდატურის სამსახურის მუშაობა მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ეფექტურია, რადგან მათი ყოველდღიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, პირადი ინდივიდუალური ურთიერთობები პოზიტიურ გარემოს ქმნის, მაღალია ბავშვის მიმართ ძალადობის ამოცნობის, რეაგირებისა და მართვის მექანიზმები, რაც ამცირებს ძალადობრივი პრობლემების რისკებს და ხელს უწყობს პრევენციული ღონისძიებების დანერგვას".*

მოსაზრებათა ავტორები, აგრეთვე, აქცენტს აკეთებენ სკოლებში სოციალური მუშაკის გამოჩენის დადებით მხარეებზე, კერძოდ სოციალური მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეებს დაძლიონ და გადალახონ ცხოვრებისეული სირთულეები*: „ჩვენი სკოლის სოციალური მუშაკი ბევრჯერ დაგვეხმარა დაგვენახა ბავშვის საჭიროება და დაგვეგეგმა სწორი ნაბიჯები. სკოლაში განხორციელებულმა სოციალური ინტეგრაციის მხარდამჭერმა პროექტებმა ხელი შეუწყო სასკოლოს საზოგადოებას ცნობიერების ამაღლებაში".*

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მუშაობას ეხმიანება სახალხო დამცველის აპარატიც: *„ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მუშაობა მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვნად აისახება ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფაზე, ახდენს მათი ფსიქოემოციური მდგომარეობის, მედეგობის გაძლიერებას. თუმცა, მნიშვნელოვანია, მანდატურის სამსახურის გაძლიერება ადამიანური რესურსებით, განსაკუთრებით რეგიონებში".*

თავი 7 - ძირითადი მიგნებები

სოციალური და ემოციური განათლების პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა - სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის ერთიანი, ყოვლისმომცველი დოკუმენტი არ არსებობს. საჭიროა, უწყებათაშორის ფორმატში შემუშავებული, სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პოლიტიკის განმსაზღვრელი საერთო, ქოლგა დოკუმენტი, რომელიც გახდება მნიშვნელოვანი გზამკვლევი ყველა იმ სამთავრობო ორგანიზაციისთვის, რომელსაც მუშაობა უწევს ბავშვებთან, მოზარდებთან და ახალგაზრდებთან. ზემოხსენებული დოკუმენტებისა და მათგან გამომავალი მექანიზმების განვითარებაში უმნიშვნელოვანესია, არამხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, არამედ სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ჩართვა. შესაბამისად, საკითხისადმი ჰოლისტური მიდგომის განვითარება.

სოციალური და ემოციური უნარების სწავლება - მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამჭოლი კომპეტენციების კუთხით სოციალური და ემოციური განათლების საკითხები გათვალისწინებულია, თუმცა გამოწვევად რჩება მასწავლებელთა მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის პრაქტიკაში გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება ინტეგრირებულია სწავლა-სწვალების მეთოდოლოგიაში, შექმნილია სოციალური და ემოციური უნარების განმავითარებელი რამდენიმე პროგრამა, თუმცა მათი პრაქტიკაში გამოცდა რამდენიმე ათეულმა სკოლამ და მასწავლებელმა შეძლო.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის მზაობა - სოციალურ-ემოციური უნარების სწავლების შედეგებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად მასწავლებლის უნარები, მისი მომზადების დონე, პროგრამის ხარისხი, მხარდამჭერი გუნდი და ადმინისტრაციის მზაობა. შემოსული მოსაზრებებისა და ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, მასწავლებლების უმეტესობა არ არის მზად სოციალური და ემოციური განათლების დანერგვისთვის, არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ზემოხსენებულ საკითხებზე და მეტიც, თავადაც საჭიროებს სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას.

სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სოციალურ-ემოციური განათლების დანერგვა სკოლის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაა. თუმცა ადმინისტრაციის წარმომადგენლების გადამზადების მიზნით საკმარისი რაოდენობით არ ხორციელდება მიზნობრივი პროგრამები, რომელსაც არსებულ რეალობაზე გარკვეული გავლენის მოხდენას შეძლებდა.

სასკოლო სახელმძღვანელოები - მიუხედავად იმისა, რომ გრიფირების პროცესში სასკოლო სახელმძღვანელოთა რეცენზირების კრიტერიუმები ითვალისწინინებს მთელ რიგ საკითხებს, რაც მიმართულია მოსწავლეთა სოციოემოციური მხარდაჭერისა და მდგრადობისკენ, სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს საკმარისი ინფორმაცია არ აქვთ სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის საკითხებზე.

არაფორმალური განათლების როლი - მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში არაფორმალური განათლების დანერგვა. მათ შორის, კლუბების ფუნქციონირების გააქტიურება, გამოწვევაა, რომ არაფორმალური განათლების ინიციატივების მხარდასაჭერად სკოლებს არ აქვს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსი.

კლუბები ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი ინიციატივების გაჩენასა და თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებას. აღნიშნული ზრდის მათში სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდას. ასევე, არაფორმალური განათლება მოსწავლეებს ეხმარება წიგნიერების, ციფრული, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო და სოციალურ-კულტურული უნარების განვითარებაში. აღნიშნულის დაუფლებით მოსწავლე ხდება თავდაჯერებული, რაც დადებითად აისახება მის სოციალურ-ემოციურ მდგომარეობაზე.

სოციალური პროექტების განხორციელება სკოლებში - მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია სკოლებში სოციალური პროექტების განხორციელება, ვინაიდან მოსწავლეებს უვითარებს სოციალურ-ემოციური და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს, სკოლების ნაწილს არ აქვს მოტივაცია ან შესაბამისი მხარდაჭერა ზემოხსენებული კატეგორიის, ხარისხიანი პროექტების განხორციელებისთვის.

მოსწავლეთა თვითმმართველობის როლი - არაფორმალური განათლების კონტექსტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსწავლეთა თვითმმართველობას, ვინაიდან ის წარმომადგენს კოლეგიალურ ორგანოს, რომლის როლიც დიდია, როგორც კლუბების

დაფუძნების, ასევე მათი ფუნქციონირების პროცესში. რიგ შემთხვევებში ხსენებული ორგანო ფორმალური ხასიათისაა. მართალია, ბოლო წლებში შეიმჩნევა თვითმმართველობების გააქტიურების ტენდენცია, თუმცა მოსწავლეები არაერთ ბარიერს აწყდებიან თვითორგანიზებული პროექტების განხორციელების მხრივ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის ეფექტიანი მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, მათში სხვადასხვა კომპეტენციების განვითარებას.

მიღწეული შედეგების მდგრადობა - არაფორმალური განათლების მიმართულებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საერთაშორისო ორგანიზაციები არაერთ პროექტს აფინანსებენ. თუმცა პროექტების დასრულების შემდეგ სკოლებს უჭირთ მიღებული შედეგების შენარჩუნება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ მოსწავლეთა წახალისების, შესაძლებლობების გამოვლენისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად საჭირო მექანიზმები და განხორციელებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსები. გარე აქტორების მიერ მხარდაჭერილ ინიციატივებს აკლია სისტემურობისა და მდგრადობის კომპონენტი.

სკოლის ფსიქოლოგის როლი - სკოლის ფსიქოლოგების არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პროცესში. თუმცა, გამოწვევაა, რომ არ არსებობს სკოლის ფსოქოლოგის ინსტიტუტის დანერგვის ერთიანი ხედვა და მოდელი.
ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სკოლის ფსიქოლოგთა გარკვეული ნაწილი იცვლის პროფესიას და იწყებს მუშაობას სპეციალური მასწავლებლის პოზიციაზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს სკოლის ფსიქოლოგების რაოდენობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი - სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება და სოციალური მუშაკების როლის გაზრდა ემსახურება მოსწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას. მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგები მომსახურებას უწევენ სკოლის მოსწავლეებს კრიზისულ სიტუაციებში, როგორც თბილისის ოფისში, ასევე რეგიონულ ცენტრებში. ცენტრში ხელმისაწვდომია ფსიქიატრის მომსახურებაც.

თუმცა, მნიშვნენელოვანია, რომ მანდატურის სამსახურს საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსი არ ჰყავს, განსაკუთრებით - რეგიონებში.

მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში - მოსწავლეთა ფსიქიკური ჯანმრთელობის, აკადემიური მიღწევების, სოციალური და ემოციური კომპეტენციების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მშობელთა აქტიური მონაწილეობა სწავლის პროცესსა და სასკოლო ცხოვრებაში. არაერთ სკოლაში არსებობს მშობელთა ჩართულობის შესაბამისი პლატფორმა, თუმცა რიგ შემთხვევებში არაეფექტიანია, რასაც განაპირობებს ერთი მხრივ, მშობელთა არასაკმარისი მოტივაცია და დროის სიმცირე, ხოლო მეორე მხრივ, სკოლის არასისტემური მიდგომა მშობელთა ჩართულობის ბარიერების დაძლევის თვალსაზრისით.

სასკოლო ინფრასტრუქტურა - ფიზიკურ გარემოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებისთვის. ამ კუთხით კი სკოლებს სჭირდებათ როგორც გამართული ინფრასტრუქტურა უშუალოდ კლასების დონეზე, ასევე სოციალური სივრცეები, რომელიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მისცემს საშუალებას უფრო მშვიდ, ღია, ხელშემწყობ გარემოში ისაუბრონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სკოლებში მულტიფუნქციური სივრცეების მოწყობაზე.

რესურსსკოლების შესაძლებლობები - რესურსსკოლები ძირითადად სარგებლობენ არაადაპტირებული სახელმძღვანელოებითა და რესურსებით. ასევე, გამოწვევაა ზემოხსენებული სკოლების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით არსებული პროგრამების სიმცირე.

თავი 8 - ჩართულ პირთა შემოთავაზებები

შემოსული წერილობითი მოსაზრებების, გამართული ზეპირი მოსმენების და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე, გამოიკვეთა თემატურ მოკვლევაში ჩართულ პირთა შემდეგი რეკომენდაციები:

ბლოკი 1: მოსწავლეების სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის ერთიანი, ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება:

- სასურველია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით შედგეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პოლიტიკის დოკუმენტს, განსაზღვრავს, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან კონკრეტულ და გაზომვად მიზნებს.
- საქართველოში სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პოლიტიკა უნდა მოიცავდეს არამხოლოდ განათლების სამინისტროს მანდატის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს, არამედ უზრუნველყოფდეს მოსწავლეებისთვის განათლების სისტემის მიღმა არსებული ისეთი სერვისების მიღების ხელმისაწვდომობასაც, რომელსაც ახორციელებს დღის ცენტრები, ახალგაზრდული და სათემო ცენტრები, სპორტის, ხელოვნებისა და სხვა არაფორმალური განათლების ორგანიზაციები;
- მკაფიოდ გამოიყოს მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს ფორმირებაზე პასუხიმგებელი უწყება ცენტრალურ დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს იქნება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, აუცილებელია ღია და მონაწილეობითი პროცესის გზით უწყების რებრენდინგი და ახალი ფუნქციური/სტრატეგიული/ ოპერაციული დაგეგმვა, მათ შორის უწყების ფარგლებში პრიორტეტული საქმიანობების გამოყოფა და მანდატურის სამსახურის, როგორც წამყვანი რგოლის (სახელი, ორგანიზაციული იდენტობის დონეზე) იდენტიფიცირება.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსიპ „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისათვის“ სახელის შეცვლა, რადგან ეს სამსახური მოიცავს გაცილებით მეტ მომსახურებას, ხოლო მის სახელწოდებაში ასახულია მხოლოდ ერთი რგოლი, კერძოდ - მანდატურის მომსახურება, რაც დიდი ხანია იწვევს გაურკვევლობას და კრიტიკის საგანს წარმოადგენს.

მე-2 ბლოკი: სკოლის ბაზაზე მოსწავლეების სოციალური და ემოციური სწავლის მხარდაჭერა:

- მნიშვნელოვანია სკოლის ბაზაზე მოსწავლეთა მხარდაჭერის, სასკოლო კლიმატისა და სერვისების განვითარება (როგორც ძირითადი პრევენციისა და დაცვის მექანიზმი) და

ამ მიზნით სკოლების შესაბამისი მხარდაჭერა; სასკოლო საზოგადოებას უჭირს ეროვნული სასწავლო გეგმიდან სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული რეკომენდაციებისა და მეთოდოლოგიის იდენტიფიცირება, სწავლა-სწავლების პროცესში ამ კომპეტენციების განვითარების ეფექტიანად დაგეგმვა და შედეგების შეფასება. ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სოციალური და ემოციური კომპეტენციების სწავლების პრაქტიკაში დანერგვის ეფექტიანი გეგმის შემუშავებისთვის საჭიროა სკოლებში ჩამოყალიბდეს მხარდამჭერი გუნდი, რომლის წევრი იქნება სკოლის ფსიქოლოგიც. გუნდს შეუძლია შეაფასოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპეტენციები მიღწეულ იქნა თუ არა.

- სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პროცესში უმნიშვნელოვანესია ტერმინების დაზუსტება და სწორად გამოყენება (მაგალითად: სოციალური და ემოციური განათლება, სოციალური და ემოციური განათლების დანერგვის პოლიტიკა, სოციალურ-ემოციური კომპეტენციები, სოციალურ-ემოციური უნარები.);
- მნიშვნელოვანია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული სოციალურ-ემოციური უნარების კურიკულუმისა და შეფასების ინსტრუმენტის პილოტირების (ზოგადი განათლების საფეხურზე) შედეგების ანალიზი, მონაწილეთა უკუკავშირების გათვალისწინება და ასახვა შესაბამის დოკუმენტებში;
- სახელმძღვანელოები, როგორც ერთ-ერთი წამყვანი რესურსი უნდა ითვალისწინებდნენ სოციო-ემოციური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დავალებებსა და აქტივობებს. ამისთვის, სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასწავლებლის სახელმძღვანელოების კონცეფციის ცვლილებას და ამ გზით მასწავლებლების მიერ სოციალური და ემოციური სწავლების საკითხების ინტეგრირებულად სწავლებას. მნიშვნელოვანია გრიფირების გუნდის კვალიფიკაციის ამაღლება;
- აუცილებელია გადაიხედოს დამრიგებლის როლი და ფუნქციები და დამრიგებლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციად განისაზღვროს კლასში მხდარდამჭერი და უსაფრთხო კლიმატის ფორმირება, ასევე მოსწავლეების სოციალური და ემოციური განვითარების

მხარდაჭერა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დამრიგებელთა გადამზადება და მათი ანაზღაურების გაზრდა;

- მნიშვნელოვანია მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის სხვა პერსონალისთვის მიზნობრივი გადამზადების პროგრამების შემუშავება: სოციალური და ემოციური სწავლების და უსაფრთხო მზრუვნელი გარემოს ფორმირების საკითხების ირგვლივ. აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს, როგორც ცენტრალზიებულად ორგანიზებულ ტრენინგ მოდულებსა და სკოლის ბაზაზე გადამზადების შესაძლებლობას, ასევე სკოლების მიერ გარე აკრედიტებული მხარდამჭერების მოძიებას;
- მნიშვნელოვანია სკოლის დაფინანსების გაზრდა არაფორმალური განათლებისა და მოსწავლეთა-მასწავლებელთა სოციალიზაციის უზრუვნელსაყოფად, მათ შორის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ინიციატივების შესაბამისი მხარდაჭერისა და დაფინანსებისთვის.

მე-3 ბლოკი: მიზნობრივი და ინტენსიური მხარდაჭერის სერვისების მისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდა

- სოციალური და ემოციური უნარების განვითარება მნიშვნელოვნად ეფუძნება ფსიქოლოგიას, ამიტომ სკოლის ფსიქოლოგის სერვისი ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლის ნებისმიერი მოსწავლისთვის. საჭიროება განსაკუთრებით თავს იჩენს მას შემდეგ, რაც მოსწავლე მიიღებს გარკვეულ ცოდნას, რომელიც შემდეგ ქმედებებში, უნარებსა და დამოკიდებულებებში უნდა გამოვლინდეს;
- ფსიქოლოგები, რომლებიც მუშაობენ კვირაში 10 საათის განმავლობაში და ემსახურებიან 6-ზე მეტ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეს, საჭიროებენ კვირაში მინიმუმ 20 საათიანი ხელშეკრულების გაფორმებას;
- მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდებისა და ყველა ჩართული სპეციალისტის რესურსებისა და კვალიფიკაციის ამაღლება. მულტიდისციპლინური გუნდების რესურსი უნდა გაიზარდოს იმდენად, რომ მათ შეძლონ არამარტო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირება, არამედ, სპეციალისტთა მხარდაჭერაც;

- ისეთ რეგიონებში, სადაც სკოლებს არ შეუძლიათ ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის სერვისის მიწოდება, სპეციალისტების არარსებობის გამო, სასურველია, რომ არსებობდეს სპეციალისტთა მულტიფუნქციური გუნდი მანდატურის სამსახურის რეგიონული ოფისის ან რესურსცენტრის დონეზე (ფსიქოლოგი, ქცევითი თერაპევტი, ნევროლოგი, მეტყველების თერაპევტი).

რეკომენდაციები

	რეკომენდაცია	**რეკომენდაციის შესრულების ინდიკატორი**	**ადრესატი უწყება**	**ვადა**
1	შემუშავდეს სოციალური და ემოციური განათლებისა და კომპეტენციების დანერგვის პოლიტიკა	• პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია	საქართველოს პარლამენტი	2025 წელი
2	ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გადამუშავების პროცესში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს მოსწავლეთა სოციოემოციური კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	• ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტში სოციოემოციური საკითხები ასახულია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2024 წელი
3	მომზადდეს მასწავლებლების სოციო-ემოციური სწავლების ტრენინგ-მოდული და გადამზადდნენ ისინი აღნიშნული კომპეტენციების გამოყენების მიმართულებით	• ტრენინგ-მოდული შემუშავებულია; • მასწავლებელთა გზამკვლევი შემუშავებულია; • მასწავლებელები გადამზადებულია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	რეგულარულად

4	მომზადდეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სოციო-ემოციური სწავლების ტრენინგ-მოდული და გადამზადდნენ ისინი აღნიშნული კომპეტენციების გამოყენების მიმართულებით	• ტრენინგ-მოდული შემუშავებულია; • შესაბამისი გზამკვლევი შემუშავებულია; • სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები გადამზადებულია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	რეგულა რულად
5	შეფასდეს სახელმძღვანელოთა გრიფირების კრიტერიუმები და პროცედურები სოციოემოციური კომპეტენციების განვითარების ჭრილში	• შეფასება ჩატარებულია და შედეგები გაეცნო მიზნობრივ ჯგუფებს, მათ შორის კომიტეტს	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025 წელი
6	სახელმძღვანელოს ავტორები, შემფასებლები და გამომცემლები გადამზადდნენ სოციოემოციური კომპეტენციების განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე	• ტრენინგ-მოდული შემუშავებულია; • სახელმძღვანელოს ავტორები, შემფასებლები და გამომცემლები გადამზადებულია.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025 წელი
6	შემუშავდეს კლასის დამრიგებლის კონცეფცია და მასში აისახოს მოსწავლეთა სოციოემციური კომპეტენციების მხარდაჭერის კომპონენტი.	• კლასის დამრიგებლის კონცეფცია შემუშავებულია; • სამუშაო პროგრამა და აღწერილობა მომზადებულია.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025 წელი

7	მასწავლებლის მოსამზადებელ აკადემიურ პროგრამებში დაინერგოს მოსწავლეთა სოციო-ემოციური მხარდაჭერისა და მათი საჭიროების იდენტიფიცირებისკენ მიმართული საკითხები	• უნივერსიტეტებისთვის განსაზღვრული სარეკომენდაციო დოკუმენტი შემუშავებულია; • კლასტერული აკრედიტაციის პროცესში ხსენებული საკითხების შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია.	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2026 წელი
8	შემუშავდეს სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის კონცეფცია/ხედვა და სკოლების ფსიქოლოგებით უზრუნველყოფის გეგმა	• კონცეფცია და გეგმა შემუშავებული და გაზიარებულია;	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025 წელი
9	სკოლებს მიეცეთ რეკომენდაცია არაფორმალური განათლების მხარდამჭერი და მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით	• სკოლებისთვის გზამკვლევი შემუშავებულია და გაზიარებულია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2024 წელი
10	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალ მოდელში გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა ინიციატივების	• მოსწავლეთა ინიციტივების მხარდამჭერი ფინანსური რესურსების გამოყოფის მიზანშეწონილობის/შესაძლებ	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2026 წელი

	მხარდაჭერისთვის განსაზღვრული ფინანსურის რესურსების გამოყოფის შესაძლებლობა	ლობის ანალიზი ჩატარებულია და გაზიარებულია კომიტეტთან.		
11	რესურსსკოლებისთვის შემუშავდეს ინკლუზიური განათლების გზამკვლევები	• გზამკვლევი შემუშავებულია და სკოლებთან გაზიარებულია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025 წელი
12	შემუშავდეს რესურსსკოლების თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამები	• პროფესიული განვითარების პროგრამები შემუშავებულია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	2025 წელი

დანართები **11.1 ტექნიკური მოთხოვნის დოკუმენტი**

განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი	
თემატური მოკვლევის შესახებ	
მოკვლევის თემა	**მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა**
თემატური მოკვლევის ჯგუფის წევრები	მთავარი მომხსენებელი: ბაია კვიციანი ჯგუფის წევრი: მარიამ ლაშხი ჯგუფის წევრი: ვლადიმერ კახაძე
თემატური მოკვლევის მიზანი	**თემატური მოკვლევის მიზანია:** • მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის შესახებ არსებული მდგომარეობის შესწავლა; • სოციალური და ემოციური კომპეტენციების როლის დადგენა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებთან მიმართებაში; • სოციალური და ემოციური კომპეტენციების მნიშვნელობისა და მათი განვითარების შესახებ დისკუსიის წამოჭრა, ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით და ერთიანი ხედვის განსაზღვრა; • სოციალური და ემოციური კომპეტენციების მნიშვნელობის შესახებ სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საჭირო მექანიზმების შემუშავება; • სოციალური და ემოციური სწავლების ხელშეწყობა, ამ მიზნით საგანმანათლებლო რესურსებისა და მასწავლებელთა პროფესიული პროგრამების განვითარება;

	• სასკოლო გარემოსა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელობის განსაზღვრა მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე.
საკითხის შესახებ	მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი კოგნიტური განვითარების პროცესზე. ის ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზაობას. აღნიშნული კომპეტენციების განუყოფელი ნაწილია სოციალური და ემოციური სწავლება, რომელიც ეფუძნება თანასწორობის პრინციპებს, მიღწევის დაფასებასა და აღიარებას, ამასთანავე უზრუნველყოფს თანამშრომლობას ინდივიდებს შორის. სოციალურ და ემოციურ კომპეტენციებს გადამწყვეტი გავლენა აქვს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და კეთილდღეობაზე, რაც სამომავლო პერსპექტივაში აისახება ინდივიდთა შესაძლებლობების რეალიზებაში, ასევე უნარებისა და კომპეტენციების შესაბამის დასაქმებაში. საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა COVID 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში, რაც განპირობებული იყო არსებული რეგულაციებითა და ახალ გარემოში ცხოვრებით, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანების, მათ შორის მოსწავლეთა ცხოვრების წესი და ყოველდღიურობა. 2023 წელს საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად სწორედ მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების და

	მათი გავლენის გზების შესწავლა განსაზღვრა. შესაბამისად, გადაწყდა თემატური მოკვლევის ინსტრუმენტის გამოყენება. თემატური მოკვლევა არის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ინსტრუმენტი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება. თემატურ მოკვლევას კომიტეტი იყენებს აქტუალური საკითხის შესწავლისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მოკვლევის შედეგად მოხდება: • დაინტერესებული პირებისგან, მტკიცებულებებზე დაფუძნებული წერილობითი ინფორმაციის მიღება მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური კომპეტენციებისა და მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ; • ზეპირი მოსმენების წარმართვა დასაბუთებული მოსაზრებების ავტორთა მონაწილეობით; • მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესწავლა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება; • გამოწვევების დაძლევის მიზნით მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება; • რეკომენდაციების შემუშავება, მათი შესრულების ვადებისა და პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრა; • თემატური მოკვლევის დასკვნის მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს გამოვლენილი გამოწვევების საპასუხოდ ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.

<table>
<tr><td></td><td>აღსანიშნავია, რომ კომიტეტი პერმანენტულ რეჟიმში გაუწევს ზედამხედველობას გაცემული რეკომენდაციების შესრულებას.

თემატური მოკვლევის პროცესში ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოაგზავნოს თავისი პოზიცია თანდართული ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტის შესაბამისად, მითითებული ვადების დაცვით.</td></tr>
<tr><td>**თემატური მოკვლევის სამოქმედო გეგმა**</td><td>**ვადები:**
➢ **მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა**
30 ივნისი - 30 ივლისი, 2023 წელი
➢ **მიღებული ინფორმაციის ანალიზი და სამაგიდე კვლევა**
1-30 აგვისტო, 2023 წელი
➢ **ზეპირი მოსმენები**
15-30 სექტემბერი, 2023 წელი
➢ **დასკვნის მომზადება**
15 ნოემბერი, 2023 წელი</td></tr>
<tr><td colspan="2">**ტექნიკური მოთხოვნების დოკუმენტი**</td></tr>
<tr><td colspan="2">**წერილობითი მოსაზრებების წარმოდგენა შეგიძლიათ ქვემოთ მოცემულიდან მხოლოდ თქვენთვის საინტერესო/თქვენს კომპეტენციას განკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით**</td></tr>
<tr><td colspan="2">საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ ინიცირებულ თემატურ მოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, ხედვები და თქვენს ხელთ არსებული მტკიცებულებები შემდეგ საკითხებთან მიმართებით:</td></tr>
<tr><td colspan="2">**სოციალური და ემოციური კომპეტენციების მნიშვნელობა**
o რა გავლენას ახდენს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციები მათ აკადემიურ მიღწევებზე?</td></tr>
</table>

- 0 რას უნდა მოიცავდეს და ეფუძნებოდეს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდამჭერი მექანიზმები და სერვისები?
- 0 როგორ უნდა შემუშავდეს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების პოლიტიკა და რა საკითხებს უნდა მოიცავდეს ის?

სოციალური და ემოციური სწავლება

- 0 რა ფორმით უნდა მიმდინარეობდეს სოციალური და ემოციური სწავლება, კერძოდ, რამდენად საჭიროა არსებობდეს ცალკე საგანი, ან ხორციელდებოდეს სადამრიგებლო საათების ფარგლებში, ამასთანავე, რა ფორმით უნდათ იყოს ასახული ეროვნულ სასწავლო გეგმაში?
- 0 როგორ შეიძლება შეუწყოს ხელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას, სწავლების გზით?
- 0 რა ფაქტორები მოქმედებს სკოლებში სოციალური და ემოციური სწავლების წარმართვაზე და რა რესურსი ესაჭიროებათ საგანმანათლებლო დაწესებულებებს?
- 0 რამდენად გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდამჭერი მეთოდები და მიდგომები (დისკუსიები, ჯგუფური მუშაობები, შემოქმედებითი სამუშაოები, კონსტრუქციული უკუკავშირი)?
- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ სწავლებასთან დაკავშირებით.

სოციალური და ემოციური საკითხები სახელმძღვანელოებსა და სხვა საგანმანათლებლო რესურსებში

- 0 რამდენად უწყობს არსებული სახელმძღვანელოები, სხვა სასწავლო რესურსები და სასწავლო მეთოდოლოგია ხელს მოსწავლეებში სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას?
- 0 როგორ შეიძლება გაიზარდოს სახელმძღვანელოების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობა და როლი მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების პროცესში?

- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, სახელმძღვანელოების და სხვა რესურსების განვითარებასთან დაკავშირებით.

სასკოლო გარემო

- 0 როგორ შეაფასებდით სკოლაში მოსწავლეთა წახალისების არსებულ ფორმებს და მათ შესაბამისობას მოზარდთა ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებასთან?
- 0 რამდენად აქვთ მოსწავლეებს ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა სკოლებში, რა ფორმით არიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა გამოწვევები არსებობს ამ კუთხით?
- 0 რამდენად აქვთ მოსწავლეებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობა და რა გავლენას ახდენს აღნიშნული მათ სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაზე?
- 0 რამდენად ეფექტიანია მოსწავლეთა ინტერესების კვლევისა და მასთან სასკოლო გარემოში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის მექანიზმები? რა უნდა გაკეთდეს არსებული გამოწვევების საპასუხოდ?
- 0 რა როლი აქვს არაფორმალურ განათლებას/სკოლაში არსებულ კლუბებს მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესში და როგორ შეიძლება სასკოლო კლუბების განვითარების პოლიტიკის დაგეგმვა/განხორციელება?
- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, სასკოლო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

მასწავლებელთა კომპეტენცია

- 0 რამდენად უზრუნველყოფილია მასწავლებლები მეთოდოლოგიური რესურსებითა და პროფესიული განვითარების იმგვარი პროგრამებით, რომლებიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ინტერესებზე მორგებული ინტერაქციული მეთოდების გამოყენებას?

- 0 რამდენად ინფორმირებულები არიან მასწავლებლები სოციალური და ემოციური კომპეტენციების, მისი თავისებურებების შესახებ და რამდენად ფლობენ ინფორმაციას გამოსაყენებელ მექანიზმებზე?
- 0 რამდენად საკმარისია სასკოლო თემის სხვა წარმომადგენელთა ცნობიერება მოზარდთა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებებისა და მათთან ურთიერთობის ფორმების შესახებ?
- 0 რა უნდა გაკეთდეს მოსწავლეებთან ურთიერთობის კონსტრუქციული ფორმების უზრუნველსაყოფად?
- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესახებ.

სერვისები

- 0 რამდენად ეფექტიანია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მუშაობა მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით?
- 0 რამდენად ეფექტიანია ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვის განსაზღვრული სოციალური მომსახურების მიწოდება და სოციალური ინტეგრაციის მხარდამჭერი პროექტები?
- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, სერვისებით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით.

სასკოლო საზოგადოება

- 0 როგორ შეაფასებდით სკოლის ფსიქოლოგთა როლს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში?
- 0 როგორ შეაფასებდით სკოლის ადმინისტრაციის როლს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებასა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაში?

- 0 როგორია მშობელთა ჩართულობის ფორმები სასკოლო ცხოვრებაში და რა გავლენა აქვს მას მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის პროცესზე?
- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით, სასკოლო საზოგადოებისა გადამზადებასა და მათთვის ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით.

სსსმ მოსწავლეები

- 0 რა სირთულეების წინაშე დგანან სსსმ მოსწავლეები სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების კუთხით?
- 0 რა სახის მხარდამჭერი მექანიზმები და რესურსები სჭირდებათ სსსმ მოსწავლეებს სოციალური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით?
- 0 გთხოვთ, შემოგვთავაზეთ თქვენი რეკომენდაციები, სსსმ მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით განსახორციელებელ აქტივობებზე.

ზოგადი საკითხები

- 0 გთხოვთ, მოგვაწოდოთ მოსაზრებები მოსწავლეთა სოციალურ და ემოციურ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ იმ საკითხებზე, რომელიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე შეკითხვებში;
- 0 გთხოვთ, გაგვიზიაროთ საკითხთან დაკავშირებული, თქვენს ხელთ არსებული, კვლევები, ანგარიშები, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და სხვა რელევანტური რესურსები, რომელიც შესაძლოა გამოდგეს საკითხის შესწავლის პროცესში;
- 0 გთხოვთ, გაგვიზიაროთ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი გამოწვევები და რეკომენდაციები.

ინფორმაციის გამოგზავნის ბოლო ვადა	**2023 წლის 30 ივლისი**

მასალის ჩაბარების პირობები	• ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე Word ფორმატში; • ტექსტის შრიფტის სახე – Sylfaen; • ტექსტის შრიფტის ზომა – 11; • სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5 ინტერვალი; • დოკუმენტურ მასალაში მოცემული უნდა იყოს ფაქტობრივი მონაცემებით გამყარებული მოსაზრებები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს სწორი ანალიზის გაკეთების საშუალებას; • დოკუმენტში ასახული უნდა იყოს მომხსენებლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია (მობილურის ნომერი და ელექტრონული ფოსტა), მასალის გამოქვეყნებისას დაცული იქნება აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; • განმცხადებელს შეუძლია დოკუმენტის შემუშავებისას პასუხი გასცეს არა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შეკითხვას, არამედ კითხვებს მხოლოდ თავის კომპეტენციისა და ინტერესის გათვალისწინებით.
საკონტაქტო ინფორმაცია	გთხოვთ, **თქვენთვის საინტერესო/თქვენს კომპეტენციას მიკუთვნებულ ზემოთ მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით** წერილობითი მოსაზრებები და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: garziani@parliament.ge სათაურის ველში მიუთითეთ: *თემატური მოკვლევა - სოციალური და ემოციური საკითხები* დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 0322 281646
დამატებითი ინფორმაცია	დაინტერესებული პირების მიერ მოწოდებული მასალები საჯაროა და გამოქვეყნდება საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11.2 სკოლის ფსიქოსოციალური სერვისის სტრუქტურა ავსტრიაში:



11.3 მალტის განათლების ფსიქოსოციალური სამსახური